

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების
ეკონომიკური ეფექტიანობის
ამაღლებისა და ადგილობრივი წარმოების სურსათით
მოსახლეობის დაკმაყოფილების აქტუალური
პრობლემები

პროექტის ხელმძღვანელი

ლეო ჩიქავა

თბილისი 2014 წელი

სარჩევი

პრობლემის არსი და აქტუალობა – გვ.3

I ნაწილი

საქართველოს მიწის რესურსები და მათი გამოყენების თავისებურებები

- 1.1. სახელმწიფო მიწის ფონდის სტრუქტურა (1985 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით)-გვ.5
- 1.2. სახელმწიფო მიწის ფონდის სტრუქტურა (2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)-გვ.10
- 1.3. მიწის პრივატიზაციის შედეგები-გვ.17
- 1.4. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები-გვ.18
- 1.5. ვერტიკალური ზონალობის თავისებურებები-გვ.37
- 1.6. ეროზირებული ნიადაგები და მათი დაცვა-გვ.40
- 1.7. ნიადაგების და დარღვეული ლანდშაფტების რეკულტივაცია (აღდგენა)-გვ.46
- 1.8. ქიმიზაცია და გარემოს დაცვა-გვ.47
- 1.9. დასკვნები-გვ.52

II ნაწილი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

- 2.1. მემცენარეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა-გვ.54
- 2.2. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა-გვ.59
- 2.3. კვების პროდუქტების მოხმარების დონე-გვ.62
- 2.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები-გვ.65
- 2.5. სასურსათო უსაფრთხოება-გვ.67
- 2.6. ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შედეგები-გვ.69
- 2.7. შრომითი რესურსების გამოყენების დონე-გვ.71
- 2.8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა-გვ.72
- 2.9. ფინანსური დახმარება-გვ.72
- 2.10. დასკვნები-გვ.74

III ნაწილი

რეკომენდაციები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების გაუმჯობესების ღონისძიებები)

- 3.1. მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება-გვ.76
- 3.2. ერთწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება-გვ.79
- 3.3. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-გვ.84
- 3.4. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება-გვ.88
- 3.5. ოჯახური მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლება-გვ.92
- 3.6. გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება-გვ.95
- 3.7. საინჟინრო-ტექნიკური მომსახურება-გვ.97
- 3.8. სასოფლო-სამეურნეო მედიორაცია-გვ.97
- 3.9. სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების კომპლექსური პროგრამა-გვ.98

პრობლემის არსი და აქტუალურობა

სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა მრავალი ფაქტორის გავლენით ჩამოყალიბდა და აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. განსაკუთრებით მწვავედ დგას იგი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. 2012 წელს საქართველოს მოსახლეობის 24,4% (1მლნ. კაცი) არასაკმარისად იკვებებოდა (მსოფლიოში ეს მაჩვენებლები შეადგენდა 12,5%-ს). FAO-ს მონაცემებით ამავე წელს ევრაზიის რეგიონში საქართველოს, ტაჯიკეთს და ყირგიზეთს ჰქონდათ სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, შესაბამისად- 18, 6,6 და 5%. საქართველოში ასევე მაღალია ჯინის ინდექსი (42,1). მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ამოცანა ორი ტრადიციული გზით წყდება: ადგილობრივი წარმოებითა და პროდუქციის შემოტანით. ნებისმიერი ქვეყანა მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს რაციონალურად გამოიყენოს როგორც ადგილობრივი რესურსები (მიწა, კაპიტალი, სამუშაო ძალა, სამეურნეო გამოცდილება და სხვა), ასევე ახალი ტექნოლოგიები, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, მეთოდები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში გამოცდილია.

საკვლევი პრობლემის შესწავლისას ცხადი გახდა, რომ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მიწის რესურსების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-ანალიზს, ამიტომ პრობლემის კვლევისათვის ამოსავალ საწყისად ავირჩიეთ 1985 წლის კატეგორიების მიხედვით სახელმწიფო მიწის ფონდის განაწილების ბალანსი. მასში სრულად არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმ დროისათვის ქვეყნის მიწის რესურსების შესახებ. 90-იანი წლებიდან ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია მიწის რესურსების სარგებლობასა და გამოყენებაში. ანალიზისას გამოვიყენეთ, 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია მიწის რესურსების შესახებ.¹ ასევე, საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები², საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ანგარიში მიწის ფონდის განაწილებაზე მიწათმოსარგებლეთა და სავარგულების მიხედვით (2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ (2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სხვა ინფორმაციები.

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2004. თბ. 2004.

² საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ., 2005. გვ. XXI.

გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ 2005 წლიდან ქვეყანაში მიწის გამოყენების ბალანსი არ დგება. 2004 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები-ინფორმაცია სრულყოფილი არ არის. აღწერა არ შეხებია ქვეყნის შინამეურნეობების თითქმის 40%-ს. აღწერით არ იყო მოცული ქალაქები თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი (რომლებშიც მცხოვრებთა ნაწილს ჰქონდა საკუთრებაში ან იჯარით აღებული მიწა და ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას). გარდა ამისა, აღწერა არ ჩატარებულა საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე: აფხაზეთში მთლიანად (კოდორის ხეობის გარდა), თანამედროვე ჯავის რაიონში მთლიანად, თანამედროვე გორის, ქარელის, საჩხერის, ონის რაიონების იმ ნაწილებში, რომლებიც ადრე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შედიოდა, აგრეთვე ახალგორის რაიონის მცირე ნაწილში. მიუხედავად ამისა, აღწერის შედეგები იძლევა გამოკვლევული ობიექტების მიხედვით მიწის რესურსების გამოყენებაში ჩამოყალიბებული ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა და მათ საფუძველზე მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განსაზღვრის საფუძველს.

მიწის რესურსების გამოყენების ანალიზმა, ბუნებრივია, მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკის შესწავლა და შეფასება. ნაშრომში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების განვითარების ტენდენციები, გამოვლენილია მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწეეს წარმოების მკვეთრად შემცირებას, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგებას, სავარგულების დანაწევრებას (ფრაგმენტაციას), შრომის ნაყოფიერების დონის შემცირებას დას ხვ. ანალიზისას გამოვიყენეთ, როგორც ადგილობრივი ინფორმაციული წყაროები, ასევე ინტერნეტრესურსები, სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმწიფო სტრუქტურის შესაბამისი დოკუმენტები, პროექტის ავტორთა გამოკვლევები და სხვ.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სურსათის წარმოების გადიდების დიდი რეზერვები გააჩნია. ამ მიზნით შემოთავაზებულია რეკომენდაციები (ღონისძიებები), რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას.

I ნაწილი

საქართველოს მიწის რესურსები და მათი გამოყენების თავისებურებები

1.1. საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის სტრუქტურა (1985 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით)

სახელმწიფოს მიწის ფონდი მოიცავს ქვეყნის ყველა კატეგორიის მიწას. პრაქტიკაში ფონდი განისაზღვრება მიზნობრივად (მიწების კატეგორია, მიწათმოსარგებლენი), სამეურნეო გამოყენებით (მიწის სახეები), ხარისხობრივი მდგომარეობით, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით და ა.შ. მიწის ფონდი იყოფა ორ ჯგუფად: მიწები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება როგორც წარმოების მთავარი საშუალება (სოფლის და სატყეო მეურნეობის მიწები) და მიწები, რომლებსაც ძირითადად იყენებენ როგორც სივრცობრივ ობიექტს (დანარჩენი ყველა სახის მიწა). პრაქტიკაში ცნობილია მიწის ძირითადი კატეგორიები: დანიშნულების (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების), დასახლებული პუნქტების (ქალაქის, დაბის, სოფლის), მრეწველობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, თავდაცვის და სხვა დანიშნულების, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების ტყის ფონდის მიწები, წყლის ფონდის მიწები, სახელმწიფო მარაგის მიწები. ასევე გამოიყოფა სახნავი, ნასვენნი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ, საძოვრები, სათიბები, ტყის, ბუჩქნარის, გზების ქვეშ, შენობების ქვეშ, გამოუყენებელი და სხვა სახის მიწები (ცხრილი 1).

როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, 1985 წელს საქართველოში მიწის რესურსები შეადგენდა 7272,6 ათას ჰექტარს. მათ შორის რესპუბლიკის საზღვრებში 6949,4 ათას ჰექტარს.¹ მიწის რესურსების დიდი ნაწილი მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე (4606,0 ათასი ჰა, ანუ 63,3%). სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (საკარმიდამო ნაკვეთებთან ერთად) შეადგენდა 3277,1 ათას ჰექტარს (45%).

¹ ამ პერიოდში საქართველოს მიწათმოსარგებლობაში იყო 323,6 ათასი ჰექტარი მიწა დაღესტნის არ ტერიტორიაზე (ციხლარის ზამთრის საძოვრები). ამასთან, საქართველოს 400 ჰა მიწას იყენებდნენ სხვა რესპუბლიკის მიწათმოსარგებლენი. კერძოდ, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კრასნოდარის მხარეს სარგებლობაში ჰქონდა გაგრის რაიონში 400 ჰექტარი, აქედან საძოვარი იყო 100 ჰა, დანარჩენი სოფლის მეურნეობისათვის გამოუყენებელი მიწა.

საქართველოს მიწის ფონდის განაწილება კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით (1985 წ. 1 ნოემბრისათვის)

მიწის კატეგორია	საერთო ფართობი	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	ნასენი	დამუშავებული მიწები	სათიბი	საძოვარი	ჯამში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	საკარმიდამო მიწები	ტყე	ბუჩქნარი	ჭაობი	წყლის ქვეშ მიწები	ბუნების ქვეშ მიწები	ნაგებობების, ეზოების, მოედნების ქვეშ მიწები	სხვა მიწები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარგებლობაში არსებული მიწები (ათასი ჰა)	4606	679,9	267,1	2,8	949,8	164,4	1860,9	2975,1	187,7	613,9	175,1	6,1	51	83,1	40,8	473,2
%	100	14,76	5,80	0,06	20,62	3,57	40,40	64,59	4,08	13,33	3,80	0,13	1,11	1,80	0,89	10,27
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები (ათასი ჰა)	2339,7	2,5	3,8	0,1	6,4	7,6	55,1	69,1	0,2	2253,4		2,10	4,1	2		8,8
%	100	0,11	0,16		0,27	0,32	2,36	2,95	0,01	96,31		0,09	0,18	0,08		0,38
მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების მიწები (ათასი ჰა)	149,9	4	0,3		4,3	1,7	6,2	12,2	0,2	4	0,9		6,9	25,7	63,3	36,7
%	100	2,67	0,20		2,87	1,13	4,14	8,14	0,13	2,67	0,60		4,60	17,15	42,23	24,48

დასახლებული პუნქტების, ქალაქების, დაბების მიწები (ათასი ჰა)	74,1	0,4	1,1		1,5	0,1	0,6	2,2	5,5	1,4	0,5	0,1	1,1	11,2	41,9	10,2
%	100	0,54	1,48		2,02	0,14	0,81	29,70	7,42	1,89	0,67	0,14	1,48	15,11	56,55	13,77
სახელმწიფოს წყლის ფონდის მიწები (ათასი ჰა)	76,4												55,2			21,2
%	100												72,25			27,75
სახელმწიფო მარაგის მიწები (ათასი ჰა)	26,5						24,9	24,9			0,5			0,1	0,2	0,8
%	100						93,96	93,96			1,89			0,38	0,75	3,02
ჯამში მიწები (ათასი ჰა)	7272,6	686,8	272,3	2,9	962,0	173,8	1947,7	3083,5	193,6	2872,7	177,0	8,3	118,3	122,1	146,2	550,9
%	100	9,44	3,74	0,04	13,22	2,39	26,78	42,39	2,66	39,90	2,44	0,11	1,63	1,68	2,01	7,58
მათ შორის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ (ათასი ჰა)	323,6					0,15	297,8	298,3			12,3			0,2	0,1	12,2
%	100					0,15	92,03	92,18			3,96			0,06	0,03	3,77
მიწები, რომლებსაც იყენებენ სხვა სახელმწიფოები (ათასი ჰა)	0,4					0,1		0,1		0,2					0,1	
%	100					25		25		50					25	
სულ მიწები საქართველოს საზღვრებში (ათასი ჰა)	6949,4	686,8	272,3	2,9	962	173,3	1650	2785,3	193,6	2872,9	164,2	8,3	118,3	121,9	146,1	538,8
%	100	9,88	3,92	0,04	13,84	2,49	23,74	40,08	2,79	41,34	2,36	0,12	1,70	1,75	2,10	7,76

1.საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები(რუსულ ენაზე).თბილისი "მეცნიერება" 1991წელი გვ.210-211.

ამავე პერიოდში სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები შეადგენდა 2339,7 ათას ჰა, ანუ რესპუბლიკის ტერიტორიის 32,2%-ს. მათ შორის, ტყის ფართობი - 2253,4 ჰა-ს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარგებლობაში არსებული ტყის ფართობი შეადგენდა 613,9 ათას ჰექტარს, გარდა ამისა, მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების, დასახლებული პუნქტების სარგებლობაში ირიცხებოდა 5,4 ათასი ჰა ტყის ფართობი. ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, რესპუბლიკაში ტყის საერთო ფართობი შეადგენდა 2872,7 ათას ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 39,5%-ს.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების მიწების ფართობი შეადგენდა 149,9 ათას ჰექტარს. დასახლებული პუნქტების – 74,1 ათას ჰექტარს, წყლის ფონდისა – 76,4 ათას ჰექტარს. სახელმწიფო მარაგში იყო 26,5 ათასი ჰა მიწა. რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა. როგორც აღინიშნა, მათზე მოდიოდა მთელი ტერიტორიის 45% (3277,1 ათასი ჰექტარი). სავარგულების საერთო ფართობიდან მოდიოდა: სახნავზე – 686,8 ათასი ჰა (21%), მრავალწლიან ნარგავებზე – 272,3 ათასი ჰა (8,3%), სათიბებზე – 173,8 ათასი ჰა (5,3%) და საძოვრებზე – 1947,7 ათასი ჰა (59,4%). ამ პერიოდში ცალკე გამოიყოფოდა საკარმიდამო მიწის ფართობი. იგი შეადგენდა 193,6 ათას ჰექტარ მიწას (ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის 5,9%-ს).

საკარმიდამო ნაკვეთების საერთო ფართობი 1951-1985 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განპირობებული იყო 50-იან წლებში საკარმიდამო ნაკვეთების შემცირების შესახებ საკავშირო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით. 1950-1955 წლებში საქართველოში საკარმიდამო ნაკვეთები შემცირდა¹ 458,7 ათასი ჰექტრიდან 245,4 ათას ჰექტრამდე (213,3 ათასი ჰექტრით). შემდგომ პერიოდში აღნიშნული კატეგორიის მიწების ფართობების შემცირების ტემპი შენედა. თუმცა 1950-1985 წლებში შემცირებამ შეადგინა 265.119 ათასი ჰა (ფაქტობრივად, ამ ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. ჩამოჭრილი მიწების კატეგორიას მიეკუთვნა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან ამოვარდა). ამას ადასტურებს დამუშავებული მიწების (საკარმიდამოსთან ერთად) ფართობის 1950-1985 წლებში 1.867.471 ჰექტრიდან 1.155.568 ჰექტრამდე ანუ 711.903 ჰექტრით შემცირება. საქართველოში 1950-1985 წლებში შემცირდა: სახნავი 1.055.348 ჰექტრიდან 686798 ჰექტრამდე (1,5-

¹ საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ. „მეცნიერება“. 1991. გვ. 215.

ჯერ), დამუშავებული მიწის ფართობი 1408.790 ჰექტრიდან 962.006 ჰექტრამდე (ანუ 203.162 ჰექტრით). სავარგულები (საკარმიდამო ნაკვეთებთან ერთად) 3.447.159 ჰექტრიდან 2.978.878 ჰექტრამდე (ანუ 468.281 ჰექტრით).¹ ამავე პერიოდში ცვლილებები მოხდა მრავალწლიანი ნარგავებისთვის გამოყენებული მიწის ფართობის რაოდენობაში. განსაკუთრებით ეს დაფიქსირდა 1970-1985 წლებში. ზრდამ შეადგინა 38226 ათასი ჰა (234062 ჰექტრიდან გაიზარდა 272288 ჰექტრამდე). ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება საკვები კულტურების ფართობები. მაგალითად, 1950 წელს ამ კატეგორიის მიწის ფართობმა შეადგინა 458681 ჰექტარი, 1985 წელს – 1.823.310 ჰა (+243,6 ათასი ჰა). აღნიშნულ პერიოდში 18,2 ათასი ჰექტრით შემცირდა სათიბების ფართობი და შეადგინა 173,3 ათასი ჰექტარი.

აღსანიშნავია, რომ 1951-1985 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 468,3 ათასი ჰა ფართობი გადავიდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში.² მათ შორის 1956-1985 წლებში 164,4 ათასი ჰექტარი. მათ შორის სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები 22702 ჰექტარი, სათიბი და საძოვარი – 25.265 ათასი ჰექტარი.³

1 ცხრილის მიხედვით, 1985 წელს ბუჩქნარი შეადგენდა 177 ათას ჰექტარს, ჭაობი – 8,3 ათას ჰა, მიწები წყლის ქვეშ – 118,3 ათას ჰექტარს (1955 წელთან შედარებით იგი გადიდა 18824 ჰექტრით, რაც გამოწვეული იყო იმ პერიოდში ახალი წყალსაცავების მშენებლობით). მიწის ფართობი გზების ქვეშ შეადგენდა 122,1 ათას ჰექტარს, მიწები ეზოების, მოედნების, შენობების ქვეშ – 146,2 ათას ჰექტარს. რაც შეეხება „სხვა მიწებს“ იგულისხმება მიწები, რომლებსაც ნიადაგის საფარი არა აქვთ, მაგალითად, კლდეები, ხრამები, კარიერები, შახტები და სხვ. ეს მიწები არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი გადაყავთ საძოვრების კატეგორიაში.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის 1985 წლის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის (რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში იყო) ფართობი შეადგენდა რესპუბლიკის ტერიტორიის 63,6%. მოსახლეობას სარგებლობაში ჰქონდა 193,6 ათასი ჰექტარი მიწა (მიწის საერთო ფართობის 2,66%). 1985 წლამდე პერიოდში გამოიკვეთა საკარმიდამო მიწის

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 219.

³ იქვე, გვ. 221.

ნაკვეთების შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ზრდის ტენდენცია (ე.წ. სხვა მიწების კატეგორიაში ითვლებოდა მიწის საერთო ფართობის 7,6%, რომლებიც ფაქტობრივად წარმოებაში არ გამოიყენება). რესპუბლიკა საზღვრებს გარეთ სარგებლობდა 323,6 ათასი ჰექტარი მიწის ფართობით, რომელიც გამოიყენებოდა ზამთრის საძოვრებად მეცხვარეობისათვის. 1985 წლამდე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი.

12. სახელმწიფო მიწის ფონდი და მისი სტრუქტურა (2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განხორციელდა რადიკალური გარდაქმნები. განსაკუთრებით იგი შეეხო მიწის რესურსებსაც. მხედველობაში გვაქვს მიწის პრივატიზაცია, რომელიც 1992 წლიდან დაიწყო.

განვიხილოთ პერიოდში პრივატიზაციის შედეგად თვისებრივი ცვლილებები მოხდა მიწის ფონდის სტრუქტურაში. მე-2 ცხრილი მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის ტერიტორიის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მათ შორის სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბ-საძოვრების ფართობის შესახებ. როგორც ცხრილიდან ჩანს, მიწის ფონდმა (ანუ ქვეყნის ტერიტორიის საერთო ფართობმა) 2004 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 7628,14 ათასი ჰექტარი. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობმა შეადგინა მთელი ფართობის 49,5%. შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი საერთო ფართობის ნახევარზე მეტია.

ცხრილი 2

მიწის ფონდი (2004 წლის 1 იანვრის მონაცემებით. ათასი ჰექტარი)¹

	საერთო ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მათ შორის				შენიშვნები და ეზოები
			სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვრები	
1	2	3	4	5	6	7	8
კერძო საკუთრებაში გადაცემული	948,9	767,3	438,5	180,5	44	84,5	19,8
%	12,4	25,3	54,6	68	30	4,7	
სახელმწიფოს საკუთრებაში	6679,5	2258,5	363,3	83,8	99,8	1712,1	
%	87,6	74,7	45,4	32	70	95,3	
მათ შორის							
სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების	2822,3	2172,1	358,8	76,1	92,7	1644,5	
%	49,5	71,7					
არასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების	3857,2	86,4	4,5	7,2	7,1	67,6	
%	50,5	2,8					
აქედან დასახლებული პუნქტების	88,4	1,6	0,4	0,7	0	0,5	
დაცული ტერიტორიების	300,7	15,6	0,1	0,1	1,1	14,3	

1	2	3	4	5	6	7	8
%	3,9						
ტყის ფონდის	2456,2	55,9	2,8	6,1	5,1	41,9	
%	32,1						
ეკონომიკის სხვა დარგებისა და თავდაცვის დანიშნულების	171,9	12,8	1,2	0,3	0,9	10,4	
%	2,2						
რელიგიური ორგანიზაციების	4,9						
%	0,06						
წყლის ფონდის	835,1	0,5				0,5	
%	10,9						
სულ	7628,4 ²	3025,8	801,8	264,3	143,8	1796,6	19,8
%	100						

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდუელი, 2004. თბ. გვ. 24-25
2. საერთო ფართობში შეტანილია წყლის შლექის ტერიტორია

მიწის საერთო ფართობის, მათ შორის სასოფლო სამეურნეო
სავარგულების ფართობის დინამიკა

	2005 წელი ¹	2004 წელი ²	1985 წელი ³	2005 წელი 1985 წლის მიმართ
საერთო ფართობი (ათასი ჰა)	7628,4	7628,4	$\frac{7272,6^4}{6949,4}$	$+\frac{355,8}{679}$
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ათასი ჰა)	3026,3	3025,8	$\frac{3277,1}{2978,9}$	$-\frac{250,8}{+47,7}$
მათ შორის				
სახნავი (ათასი ჰა)	802,1	801,8	686,8	+115,3
მრავალწლიანი ნარგავები (ათასი ჰა)	264	263,8	272,3	-8,3
მათ შორის				
ხეხილის ბაღები (ათასი ჰა)	67,3	-	-	
ვენახი (ათასი ჰა)	67,5	-	-	
ჩაი (ათასი ჰა)	55,3	-	-	
ციტრუსები (ათასი ჰა)	27,7	-	-	
დაფნა (ათასი ჰა)	2,5	-	-	
ტუნგო (ათასი ჰა)	5,5	-	-	
კაკლოვანი (ათასი ჰა)	8,7	-	-	
სხვა დანარჩენი (ათასი ჰა)	24,4	-	-	
სათიბი (ათასი ჰა)	143,5	143,8	$\frac{173,8}{173,8}$	-30,3
საძოვარი (ათასი ჰა)	1796,6	1796,6	$\frac{1947,1}{1650}$	$-\frac{150,5}{+146,6}$

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბინებრივი რესურსების სამინისტროს მასალები (2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2004 წელი (2004 წლის იანვრის მონაცემებით), თბილისი, გვ.24-25.
3. 1985 წლის სახელმწიფო მიწის ფონდი (1985 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით) (ცხრილი 1).
4. მრიცხველში - სულ ქვეყანაში, მნიშვნელში - ქვეყნის საზღვრებს შიგნით.

მიწის საერთო ფართობი, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწების ფართობი¹

	2005 ¹	2004 ²	1985 ³
1	2	3	4
საერთო ფართობი (ათასი ჰა)	7628,4	7628,4	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ათასი ჰა)	3857,2	3857,2	
ტყე (ათასი ჰა)	2838,3	2456,2 ⁴	2872,7
მინდორ საცავი ტყის ზოლები (ათასი ჰა)	11,3		
ბუჩქნარი (ათასი ჰა)	154,7		177
ჭაობი (ათასი ჰა)	17,1		8,3
წყლის ფონდის მიწა (ათასი ჰა)	876,5	835,1	118,3
აქედან			
მდინარეები და ნაკადულები (ათასი ჰა)	91,3		
წყალსაცავი (ათასი ჰა)	17,9		
მყინვარები (ათასი ჰა)	21,3		
ტბები (ათასი ჰა)	17,5		
ტბორები (ათასი ჰა)	1		
მაგისტრალური არხები და შიდა ქსელები (ათასი ჰა)	49		
ტერიტორიული წყლები (ათასი ჰა)	678,5		
გზებით დაკავებული მიწა (ათასი ჰა)	291,2		122,1
შენობებით დაკავებული მიწა (ათასი ჰა)	108,1	19,8	146,2
სხვა დანარჩენი გამოუყენებელი მიწა სულ (ათასი ჰა)	298,9		550,9
აქედან			
კლდეებით დაკავებული (ათასი ჰა)	18,4		
ქვიშრობით დაკავებული (ათასი ჰა)	2,4		

1	2	3	4
ხრამებით დაკავებული (ათასი ჰა)	171,3		
სასაფლაოებით დაკავებული (ათასი ჰა)	4,1		
ეროზიული და დამეწვერებული (ათასი ჰა)	102,7		

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მასალები (2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2004 წელი (2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). თბილისი, გვ.25.
3. 1985 წლის სახელმწიფო მიწის ფონდი (1985 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით).
4. ტყის ფონდის მიწის ფართობი

იმისათვის, რომ რეალური წარმოდგენა გვექონდეს მიწის ფონდში მომხდარ ცვლილებებზე, მიზანშეწონილია სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზი. მათი შეჯერება ხელს შეუწყობს უფრო ობიექტურად შეფასდეს არსებული მდგომარეობა. მე-3 ცხრილში მოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიწის რესურსების სამმართველოს მიერ მომზადებული ანგარიშის (ფორმა 22) მონაცემები. როგორც ჩანს, ქვეყნის მიწის საერთო ფართობი შეადგენს 7628,4 ათას ჰა (ეს და სხვა მონაცემებიც ძირითადად ემთხვევა მე-2 ცხრილის მონაცემებს). ცხრილის მიხედვით, 2005 წელს 1985 წლის მიმართ მიწის ფართობი გაიზარდა 679 ათასი ჰექტრით¹. შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების, სათიბის ფართობი. ასევე ბუჩქნარი და სხვა გამოუყენებელი მიწის ფართობი (252 ათასი ჰექტარი). ტყის ფართობი (34,4 ათასი ჰექტრით). გაიზარდა საძოვრების ფართობი (146,6 ათასი ჰექტრით), ჭაობების, გზებით დაკავებული მიწის, წყლით დაკავებული მიწის ფართობი.

1,2,3 და 4 ცხრილების მონაცემების შედარება გვიჩვენებს:

პირველი. 2005 წელს, 1985 წლის მიმართ, საქართველოში მიწის საერთო ფართობი არ შემცირებულა. 1985 წელს მიწის საერთო ფართობში, როგორც აღინიშნა, დროებით სარგებლობაში გადაცემული იყო ყიზლარის ზამთრის საძოვრები (323,6 ათასი ჰა), რომელიც 90-იანი წლებიდან დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკას დაუბრუნდა;

მეორე. განვლილ პერიოდში თვისებრივად შეიცვალა მიწათმფლობელობის წესი (პრინციპი). თუ საბჭოთა პერიოდში მოსახლეობას მუდმივ სარგებლობაში ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ე.წ. საკარმიდამო ნაკვეთები (193,6

¹ საერთო ფართობში შეტანილია ტერიტორიული წყლების ფართობი.

ათასი ჰა), 2003 წელს მოსახლეობას საკუთრებაში ჰქონდა 948,9 ათასი ჰექტარი მიწა (საერთო ფართობის 12,4%). მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,3%. ამთვან, სახნავი შეადგენდა 54,6%-ს, მრავალწლიანი ნარგავები – 68%-ს, სათიბები – 30%-ს, საძოვრები – 4,7%-ს. ასეთი ცვლილებების ფონზე შეიცვალა მოსახლეობის ერთ სულზე სასოფლო-სამეურნეო და სახნავი ფართობის ზომაც. მაგალითად, იგი შეადგენდა 1985 წელს 0,55 ჰა, 1995 წელს – 0,63 ჰა, 2003 წელს – 0,69 ჰა. სახნავი, შესაბამისად, 0,15 ჰა, 0,16 და 0,18 ჰექტარს;¹

მესამე. თვისებრივად შეიცვალა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა სტრუქტურა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნაცვლად, პროდუქციის წარმოება გადავიდა წვრილ ოჯახურ მეურნეობებზე;²

მეოთხე. შეიცვალა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტრუქტურაც. მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების თანაფარდობაც შეიცვალა. თუ 1990 წლამდე მემცენარეობის პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 70%-ს, 2012 წელს შეადგინა 37%. ეს პროცესი განვითარდა საერთო პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირების ხარჯზე;

მეხუთე. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრუქტურაშიც. დაცული ტერიტორიის საერთო ფართობი გაიზარდა.³ 2005 წლისათვის რელიგიური ორგანიზაციები ფლობდნენ 4,9 ათას ჰექტარ მიწას. 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემცირდა 251,0 ათასი ჰექტრით (1985 წლის 3277,1 ათასი ჰექტრიდან (საკარმიდამო მიწებთან ერთად) 3025,8 ათას ჰექტარამდე. 1985-2003 წლებში წყლის ფონდის მიწების ფართობი გადიდა 76,4 ათასი ჰექტრით და შეადგინა 835,1 ათასი ჰექტარი (წყლით დაკავებული მიწის ქვეშ იგულისხმება მდინარეები და ნაკადულები (91,3 ათასი ჰა), წყალსაცავები (17,9

¹ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

² ისინი 2012 წელს აწარმოებდნენ ხორბლის 95%, სიმინდის – 98%, კარტოფილის – 99%, ხილის – 99,7%, ყურძნის – 91,5%, ციტრუსების – 99,9%, ჩაის – 57,7%, ბოსტნეულის – 98%, რძის – 99,5%, კვერცხის – 39%, ხორცის – 85,1%-ს.

³ 2003 წელს შეადგინა 300,7 ათასი ჰა. დაცულ ტერიტორიებს (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, სახელმწიფო აღკვეთილი და ა.შ.) 2004 წლამდე შეემატა ბორჯომ-ხარაგაულის (შეიქმნა 1999 წელს. ფართობი 57980 ჰექტარი) და კოლხეთის ეროვნული პარკი (შეიქმნა 1998 წელს. ფართობი – 44.313 ათასი ჰა). 2011 წელს დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენდა 520273 ჰექტარს. მათ შორის ეროვნული პარკები – 277433 ჰექტარს, დაცული ლანდშაფტი – 34708 ჰექტარს, ნაკრძალები – 143218 ჰექტარს, სახელმწიფო აღკვეთილები – 64119 ჰექტარს, ბუნების ძეგლები – 34708 ჰექტარს (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. დაცული ტერიტორიების სააგენტო).

ათასი ჰა), ტბები (17,5 ათასი ჰა), ტბორები (1000 ჰა), ტერიტორიული წყლები (678,5 ათასი ჰა), მაგისტრალები არხები და შიდა ქსელები (49 ათასი ჰა), მყინვარები (21,3 ათასი ჰა). სხვა დარგების (მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.) მიწის ფართობი გადიდა 149,9 ათასი ჰექტრიდან 171,9 ათას ჰექტრამდე (22 ათასი ჰექტრით). დასახლებული პუნქტების მიწის ფართობი გადიდა 14,3 ათასი ჰექტრით. თუ 1985 წელს ტყის ფონდის მიწის ფართობი შეადგენდა 2339,7 ათას ჰექტარს, 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 2456,2 ათას ჰექტარს (გადიდა 116,5 ათასი ჰექტრით). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მარაგის მიწის ფართობი 1985 წელს შეადგენდა 26,5 ათას ჰექტარს. 2004 წლის მდგომარეობით ეს მონაცემი საერთოდ არ დაფიქსირებულა.

კატეგორია „სხვა დანარჩენი გამოყენებელი მიწის“ ფართობმა შეადგინა 298,9 ათასი ჰა. მათ შორის კლდეებით დაკავებული იყო 18,4 ათასი ჰა, ხრამებით, ხევებით - 171,3 ათასი ჰა, სასაფლაოებით – 4,1 ათასი ჰექტარი.

13. მიწის პრივატიზაციის შედეგები

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამავე ანგარიშში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიწის პრივატიზაციის შედეგად თვისებრივი ცვლილებები მოხდა მიწათმფლობელობაში. 2005 წლის 1 იანვრისათვის მიწათმოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენდა 1,8 მილიონზე მეტს. მათ საკუთრებაში მიღებული ჰქონდათ 951,2 ათასი ჰა მიწა (მათ შორის ფიზიკურ პირებს 948,4 ათასი ჰა (99,1%). აქედან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იყო 936,6 ათასი ჰექტარი (98,7%). ამავე პერიოდისათვის კერძო საკუთრებაში გადავიდა 14,6 ათასი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (მათ შორის ფიზიკურ პირებზე 11,8 ათასი ჰექტარი).

ამრიგად, 2005 წლის 1 იანვრისათვის კერძო საკუთრებაში იყო საერთო ფართობის 12,4%, სახელმწიფო საკუთრებაში 87,6% (6677,2 ათასი ჰა).

ბუნებრივია, ყველაზე მეტად ცვლილებები შეეხო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. აღნიშნული პერიოდისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო 769,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (25,4%), აქედან სახნავი 441,7 ათასი ჰექტარი (ანუ სახნავის საერთო ფართობის 55,0%). მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობიდან (264 ათასი ჰა) პრივატიზებული იყო 180,3 ათასი ჰა (68,3%). მათ შორის ხეხილის საერთო ფართობიდან (67,3 ათასი ჰა) პრივატიზებული იყო 64 ათასი ჰა (95%), ვენახის

(67,5 ათასი ჰექტრიდან), კერძო საკუთრებაში იყო 64,9 ჰა (96,1%). ჩაის 55,3 ათასი ჰექტრიდან – 11,5 ათასი ჰა (20,7%). ციტრუსების 27,7 ათასი ჰექტრიდან – 57%, დაფნის ფართობის 88%, ტუნგის – 9,6%, კაკლოვანის – 61%, სხვა დანარჩენების (24,3 ათასი ჰა) – 61,7%. ამრიგად, ხეხილისა და ვენახების საერთო ფართობიდან კერძო საკუთრებაში იყო გადაცემული 95%-ზე მეტი. აღნიშნული პერიოდისათვის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი 6677,2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობიდან სახნაუბე მოდიოდა 360,4 ათასი ჰა (45%), ხეხილის ბაღებზე – 3,3%, ვენახზე – 2,6%, ციტრუსებზე – 11,9%, დაფნაზე – 0,3%, ტუნგზე – 4,7%, კაკლოვანზე – 3,4%. შედარებით მაღალია ჩაის ფართობის ხვედრითი წონა (43,8%).

ამრიგად, მრავალწლიანი ნარგავების მთელი ფართობის 68,3 პროცენტი, 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კერძო საკუთრებაში იყო გადაცემული. აქვე აღვნიშნავთ, რომ აღნიშნულ ანგარიშში, მოცემულია ეროზირებული და დამეწყრილი მიწის ფართობის შესახებ მონაცემები (იგი შეადგენს 102,8 ათას ჰექტარს, რაც რეალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ). უფრო ადრინდელი მონაცემებით, ასეთი კატეგორიის მიწების საერთო ფართობი თითქმის 2-ჯერ მეტი სახელდებოდა. გასული 22 წლის მანძილზე ეროზიის საწინააღმდეგოდ ღონისძიებები ქვეყანაში არ განხორციელებულა.

1.4. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები

საქართველოში პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა 2004 -2005 წლებში ორ ეტაპად (25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე სოფლებში და 2005 წლის 14 აპრილიდან 23 აპრილამდე რაიონულ ცენტრებსა და მცირე ქალაქებში. აღწერა არ ჩატარებულა 5 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი), ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიებზე. აღწერის შედეგები გამოქვეყნდა 2005 წელს. ამრიგად, აღწერა არ შეხებია 5 ქალაქში მცხოვრებთ, რომლებსაც აქვთ საკუთრებაში ან იჯარით აღებული მიწა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწევიან (ამ ქალაქებში შინამეურნეობათა დაახლოებით 40% ცხოვრობს). სასოფლო-სამეურნეო აღწერის ობიექტი იყო მეურნეობა (სოფლის მეურნეობა), რომელიც განიხილება როგორც ეკონომიკური ერთეული. იგი ერთიანი ხელმძღვანელობით ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას მიუხედავად მისი ზომისა და იურიდიული სტატუსისა. ამასთან, ის ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ეწევიან მხოლოდ

სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას (მეთევზეობას, მეტყევეობას და სანადირობას) არ განიხილებიან როგორც სასოფლო მეურნეობები და ამიტომ მათი აღწერა არ ჩატარებულა. აღწერის მიხედვით, მეურნეობის ტიპებია: ოჯახური მეურნეობა, თანამეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სხვა ტიპის მეურნეობა. აქვე საჭიროა შემდეგი განმარტებაც. მეურნეობის მიწა არის ის, რომელიც უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოიყენება მეურნეობის საქმიანობაში. შედგება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწისაგან. მეურნეობის ერთ კატეგორიას მიწა არ გააჩნია. ისინი ცნობილი არიან როგორც უმიწო მეურნეობები (მაგალითად, საინკუბატორო მეურნეობა, მეფუტკრეობა, რომელიც საზოგადოებრივ მიწებზე ეწევა საქმიანობას, მრავალსართულიან სახლებში მცხოვრები შინამეურნეობა, რომელსაც ბოსელი აქვს და ა.შ.¹ აღწერის მასალებში სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურაში შეტანილია სათბური (მიწის ფართობი, რომელიც გადახურულია). სხვა ტიპის მეურნეობაში იგულისხმება მეურნეობები, რომლებსაც არა მეწარმე სუბიექტები ხელმძღვანელობენ (ასოციაცია, კავშირი, ეკლესია, მონასტერი, საგანმანათლებლო დაწესებულება, სახელმწიფო დაწესებულება).

სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები იძლევა ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზის, მიწათმფლობელობის, პროდუქციის მწარმოებელთა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის და სხვა შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით საქართველოში დაფიქსირდა 729.542 მეურნეობა. მათ შორის ოჯახური მეურნეობები შეადგენდა 728.247 ერთეულს (99,8%). მეურნეობების საერთო რაოდენობიდან სასოფლო-სამეურნეო საწარმოა მხოლოდ 820 ანუ 0,1%. სხვა ტიპის მეურნეობები – 475 ერთეული, ანუ 0,1%. ამრიგად, ოჯახური მეურნეობები ასრულებენ განმსახვრევე როლს. აღსანიშნავია, რომ ოჯახური მეურნეობებიდან ერთი შინამეურნეობის მეურნეობა იყო 728,003 ერთეული, ხოლო თანამეურნეობა – 244 ერთეული. თანამეურნეთა საშუალო რაოდენობა ერთ თანამეურნეობაზე 2,8². იურიდიული სტატუსის მიხედვით შემდეგი სურათი ჩამოყალიბდა. ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო

¹ საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ. 2005.

² საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ. 2005 გვ. 7. აღწერის მიხედვით, ოჯახური მეურნეობაა ის, რომელსაც უძღვება ერთი ან რამდენიმე შინამეურნეობა. შინამეურნეობა არის ერთი ან რამდენიმე პირის ერთობლიობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად მოიხმარენ სურსათს და ა.შ. თანამეურნე – შინამეურნეობა (ან ფიზიკური პირი), რომელიც სხვა შინამეურნეობებთან ერთად უძღვება თანამეურნეობას.

820 ერთეული, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე იყო 45,2%, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 2%, შპს – 38,7%, აქციონერული საზოგადოება – 3,9%, კოოპერატივი – 10,2%. ამ დროისათვის სახელმწიფო საწარმო იყო 79 ერთეული. სხვა ტიპის მეურნეობები შეადგენდა 475 ერთეულს. აქედან საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეკუთვნებოდა 65,5%, ადგილობრივ მმართველობას – 1,5%, სხვა სახელმწიფო დაწესებულებას – 6,1%, რელიგიურ ორგანიზაციებს – 7,6%, ამხანაგობებს, კავშირებს, ასოციაციებს – 11,6%, სხვა – 7,2%. აღწერის მიხედვით, 729542 მეურნეობიდან სოფლის მეურნეობა ძირითად საქმიანობად მიიჩნია – 73,8%-მა. მეურნეობათა საერთო რაოდენობიდან 82,2% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მხოლოდ 17,8% აწარმოებს პროდუქციას ძირითადად ბაზრისათვის.

ზემოთ წარმოდგენილ ფონზე მიზანშეწონილია განვიხილოთ აღწერის საბოლოო მონაცემები, რომლებიც იძლევა საშუალებას საერთო წარმოდგენა გვქონდეს მეურნეობების არსებული მიწის ფართობისა და მიწათსარგებლობის ფორმების შესახებ.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწა (ჰა) და მისი
სტრუქტურა რეგიონების მიხედვით¹

	სახნავი ჰა	ერთწლიანი კულტურები	ნასვენნი მიწა	დროებით დამუშავებული მიწა
1	2	3	4	5
სულ	472120	391058	8210	72852
%	100	82,8	1,70	15,50
აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორია	231	188	19	23
%	0,05	0,05	0,023	0,03
აჭარა არ	9212	8965		246
%	2	2,29		0,34
გურია	15502	13004		2498
%	3,2	3,33		3,43
იმერეთი	72101	64187	160	7755
%	15,20	16,41	1,95	10,64
კახეთი	131811	107727	834	23251
%	28	27,55	10,16	31,92
მცხეთა-მთიანეთი	19612	13212	146	6254
%	4,15	3,38	1,78	8,58

1	2	3	4	5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4673	4020		653
%	0,90	1,03		0,90
სამეგრელო-ზემო სვანეთი	52262	48887		3375
%	11	12,50		4,63
სამცხე-ჯავახეთი	45940	31764	5449	8728
%	9,80	8,12	66,37	11,98
ქვემო ქართლი	71512	61835	1543	8135
%	15,20	15,81	18,79	11,17
შიდა ქართლი	49263	37270	60	11934
%	10,40	9,53	0,73	16,38

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა.
თბილისი, 2005წ. გვ. 42.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი (ათასი ჰა) (1985-2005)

მრავალწლიანი ნარგავები	1985 ¹	1990	1995 ²	1998 ²	2004 ³	რამდენჯერ შემცირდა
ხეხილის ფართობი სულ	142,6	126,5	94,9	65,3	36,988	3.4 ჯერ
მათ შორის ნაყოფის მომცემი	102,2	101,4	78,9	53,1	-	
ვენახის ფართობი	146,8	112,8	94,2	70,2	37,419	3 ჯერ
მათ შორის ნაყოფის მომცემი	111,5	101,6	88	65	-	
ციტრუსების ფართობი	20,7	24,7	13,2	15,9	8,715	2.8 ჯერ
მათ შორის ნაყოფის მომცემი	11,8	16,7	10	12	-	
ჩაის ფართობი	66,8	62,3	33,1	39,9	11,524	5.4 ჯერ
მათ შორის ნაყოფის მომცემი	-	57,7	30,3	24,1	-	

1.1985 და 1990 წლები. საქართველო ციფრებში, თბ. 1991. გვ.97

2.საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 1999. გვ. 175

3.საქართველო 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბ. 2005. გვ.45.

აღწერილ მეურნეობათა (729.542 ერთეული) სარგებლობაშია 886.766 ჰა მიწის ფართობი. ამათგან, საკუთრებაში გადაცემული იყო 588.281 ჰა (65,2%), იჯარით აღებული სახელმწიფოსაგან 295.911 ჰა – (33,4%), იჯარით აღებული კერძო პირისაგან (12.573 ჰა (1,4%). მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით, როგორც აღწერის მასალებიდან ჩანს, 886.766 ჰექტრიდან 839.709 ჰა (94,7%) მოდის სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე – 5,3%.

როგორია მეურნეობათა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის სტრუქტურა?

სულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან (839.709 ჰა) სახნავზე მოდის 472.120 ჰა (56,2%), მრავალწლიან ნარგავებზე (100,21 ჰექტარი) – 11,9%, სათბურებზე – 300 ჰა, სათიბ-საძოვრებზე 31,8% (267.062 ჰა). ცხრილი 5 გვიჩვენებს თუ როგორი იყო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის სტრუქტურა. როგორც ჩანს, ერთწლიან კულტურებზე მოდიოდა სახნავის 82,8%. 8210 ჰა მიეკუთვნა ნასვენი მიწის კატეგორიას. აღწერის დროისათვის დროებით დაუმუშავებელი იყო 72.852 ჰა (15,5%). რეგიონებიდან სახნავი მიწის საერთო ფართობში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამორჩეული იყო კახეთის (28%), იმერეთის (15,2%), ქვემო ქართლის (15,2%) რეგიონები. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ რაჭა-ლეჩხუმს (0,9%), აჭარას (2%), მცხეთა-მთიანეთს (4,15%).

აღწერის მასალების ანალიზი (ცხრილი 6) გვიჩვენებს, რომ 1990-2004 წლებში მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი კულტურების საერთო ფართობი და არსებითი ცვლილებები მოხდა მის სტრუქტურაში.

ცხრილი 7

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი¹ და სტრუქტურა

	მრავალწლიანი ნარგავები	ხეილის ბაღები	ვენახები	ციტრუსების პლანტაციები	ჩაის პლანტაციები	სხვა მრავალწლიანი ნარგავები
საქართველო სულ	100215	36988	37419	8715	11524	4833 ²
%	100	36,9	37,3	8,7	11,5	4,8
აფხაზეთის არ (კონტროლირებადი ტერიტორია)	37	37	-	-	-	-
%	100	100	-	-	-	-
აჭარა	7,770	400	42	5751	1182	388
%	100	5,1	0,5	74	15,2	5
გურია	10,503	4017	268	211	3281	815
%	100	38,2	2,5	20,1	31,2	7,8
იმერეთი	12,246	2038	8584	8	916	655
%	100	16,6	70,1	0,1	7,5	5,3
კახეთი	25,573	2860	22,227	-	-	655
%	100	11,2	86,9	-	-	5,3
მცხეთა-მთიანეთი	1,875	1,041	792	-	-	2,8
%	100	55,5	42,2	-	-	0,1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,559	211	1348	-	-	0.0
%	100	13,5	86,5	-	-	0.0

სამეგრელო-ზემო სვანეთი	22,416	11,689	775	845	6144	2935
%	100	52,1	3,5	3,8	27,4	13,1
სამცხე-ჯავახეთი	1,54	1521	6	-	-	-
%	100	98,8	0,4	-	-	-
ქვემო ქართლი	3,096	1281	1757	-	-	1
%	100	41,4	56,7	-	-	0.0
შიდა ქართლი	13,601	11894	1622	-	-	3
%	100	87,4	11,9	-	-	0.0

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი. 2005წ. გვ. 45.

2. სხვა მრავალწლიან ნარგავებში იგულისხმება დაფნა, ტუნგო, ევკალიპტი, ბამბუკი, ჯონჯოლი და სხვა.

3. საქართველოში კენკროვნების ფართობი შეადგენს 735 ჰექტარს, რომელიც რეგიონების მიხედვით ნაჩვენებია არ არის. შეჯამებისას სხვაობას აღნიშნული ფართობი იძლევა.

ხეხილის ბაღების სრული ფართობი და ძირთა რაოდენობა¹

რეგიონები	ბაღების ფართობი, ჰა	ძირთა რაოდენობა ბაღებში	მათ შორის მსხმოიარე ასაკში	ცალკე მდგომ ძირთა რაოდენობა	მათ შორის მსხმოიარე ასაკში
საქართველო სულ	36988	14354470	11864634	10705034	9680474
აფხაზეთის არ (კონტროლირებადი ტერიტორია)	37	4568	4075	11181	10049
აჭარა	400	284566	230332	951300	820796
გურია	4017	1983618	1743914	954353	872644
იმერეთი	2038	961093	764263	3073410	2843093
კახეთი	2860	957370	770862	1147886	1009895
მცხეთა მთიანეთი	1041	335497	293272	340142	298306
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	211	64208	60089	328020	310237
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11689	6339172	5430434	1929174	1764120
სამცხე-ჯავახეთი	1521	353311	313229	258233	232653
ქვემო ქართლი	1281	429808	404310	867503	765397
შიდა ქართლი	11894	2641259	1849854	843832	753284

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა თბილისი 2005წ. გვ.119-120.

ვენახების სრული ფართობი და ძირთა რაოდენობა¹

რეგიონები	ვენახების ფართობი, ჰა	ძირთა რაოდენობა ვენახებში	მათ შორის მსხმოიარე ასაკში	ცალკე მდგომ ძირთა რაოდენობა	მათ შორის მსხმოიარე ასაკში
საქართველო სულ	37419	112408526	106129338	2847126	2743497
აფხაზეთი არ (კონტროლირებადი ტერიტორია)				1007	977
აჭარა არ	42	117781	97039	142885	130664
გურია	268	684857	645431	418664	408140
იმერეთი	8584	29573693	28824899	636808	621879
კახეთი	22227	62368660	57961592	141822	133797
მცხეთა-მთიანეთი	792	1882871	1532784	125978	119006
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	1348	4256130	4056060	71893	70147
სამეგრელო-ზემო სვანეთი	775	2517586	2450349	458318	441385
სამცხე-ჯავახეთი	6	11257	10536	82276	78122
ქვემო ქართლი	1757	5360691	5288723	257835	246648
შიდა ქართლი	1622	5635000	5261925	509640	492732

1.საქართველოს 2004წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა თბილისი 2005წელი გვ.155-157.

ციტრუსის პლანტაციების სრული ფართობი და მისი სტრუქტურა¹

	პლანტაციების ფართობი, ჰა	ძირთა რაოდენობა პლანტაციებში	მათ შორის მსხმოიარე ასაკში	ცალკე მდგომ ძირთა რაოდენობა	მათ შორის მსხმოიარე ასაკში
საქართველო სულ	8715	5488492	5159314	316477	290342
აჭარა არ	5751	3712255	3481778	34310	31218
გურია	2111	1321054	1248611	90615	81872
იმერეთი	8	6716	6233	33024	29825
კახეთი				762	617
მცხეთა მთიანეთი				23	19
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი				19	18
სამეგრელო-ზემო სვანეთი	845	448467	422692	157636	146715
სამცხე-ჯავახეთი				12	9
შიდა ქართლი				76	49

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლიო-სამეურნეო აღწერა. თბილისი. 2005 გვ. 209-211.

ჩაის პლანტაციების ფართობი (ჰა) 2004 წელი¹

რეგიონები	სულ	ტერიტორიის მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურაში %
საქართველო	11.524	11.5
აფხაზეთი არ	-	-
აჭარა არ	1.182	15.2
გურია	3.281	31.2
იმერეთი	916	7.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6144	27.4

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა.თბ.2005.გვ.45-47.

აღსანიშნავია, რომ 1990 წელს ჩაის ნარგავთა ფართობი შეადგენდა 62.3 ათას ჰექტარს.

აფხაზეთის არ ტერიტორიაზე აღწერა არ ჩატარებულა.

მეურნეობათა კლასიფიკაცია მიწის სრული ფართობის მიხედვით¹

	მეურნეობები (ჰა)	უმიწო მეურნეობები	მიწიანი მეურნეობები	0.06 ჰა ნაკლები	0.06-0.09 ჰა	0.1-0.19 ჰა	0.2-0.49 ჰა	0.5-0.99 ჰა	1-1.99 ჰა	2-2.9 ჰა	3-3.9 ჰა	4-4.9 ჰა	5-9.9 ჰა	10-19.9 ჰა	20-49.9 ჰა	50-99.9 ჰა	100-199.9 ჰა	200-499.9 ჰა	
სულ	729542	3766	725766	35464	34660	68107	153448	216990	167656	23381	10018	4473	6541	2685	1217	497	315	236	
სტრუქტურა %		0.51%	99.49%	4.8%	4.7%	9.3%	21.1%	29.8%	23.1%	3.2%	1.4%	0.6%	0.9%	0.4%	0.16%	0.06%	0.04%	0.03%	
მეურნეობათა კლასიფიკაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის სრული ფართობის მიხედვით																			
სულ	729542	37965	691577	36401	20618	70592	170788	220960	126519	20619	9515	4340	6269	2641	1202	500	307	234	
სტრუქტურა %	100%	0.52%	94.8%	5.2%	3%	9.7%	24.6%	32%	18.2%	3%	1.4%	0.62%	0.9%	0.37%	0.17%	0.07%	0.04%	0.03%	

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი.2005. გვ. 51, 55.

მეურნეობათა მიწის ფრაგმენტაცია (მეურნეობათა ზომის და ფრაგმენტაციის საშუალო მახასიათებლები)¹

რეგიონები	ყველა მეურნეობა			ოჯახური მეურნეობები			სასოფლო-სამეურნეო საწარმოები		
	მეურნეობის საშუალო ფართობი	ნაკვეთების საშუალო რაოდენობა	ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა(ჰა)	მეურნეობის საშუალო ფართობი	ნაკვეთების საშუალო რაოდენობა	ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა(ჰა)	მეურნეობის საშუალო ფართობი	ნაკვეთების საშუალო რაოდენობა	ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა(ჰა)
საქართველო	1,22	2,33	0,52	1,05	2,3	0,45	110,8	3,1	39,7
აფხაზეთი არ (კონტროლირებადი ტერიტორია)	1,03	1,71	0,6	1,03	1,7	0,60			
აჭარა არ	0,56	1,84	0,3	0,5	1,8	0,27	128,9	3	42,35
გურია	0,85	2,65	0,32	0,82	2,6	0,31	54,72	2,8	19,25
იმერეთი	0,69	2,53	0,27	0,64	2,5	0,25	90,17	2,3	40,45
კახეთი	2,21	2,32	0,95	1,9	2,3	0,82	162,76	2,4	67,59
მცხეთა-მთიანეთი	1,08	2,32	0,46	0,99	2,3	0,43	71,16	6,4	11,79
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	0,9	3,22	0,28	0,89	3,2	0,28	13,99	3,7	3,81
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0,9	1,55	0,58	0,71	1,5	0,46	113,6	3,4	33,2
სამცხე-ჯავახეთი	2,32	3,77	0,62	2,21	3,8	0,59	665,33	3	202,49
ქვემო ქართლი	1,43	1,81	0,79	0,95	1,8	0,52	105,33	3	42,23
შიდა ქართლი	0,97	2,84	0,34	0,9	2,8	0,32	70,46	2,7	32,68

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. ქ.თბილისი. 2005. გვ.84-86.

2.მეურნეობათა რაოდენობა - 729.542. მათ შორის ოჯახური - მეურნეობები 728.247. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები - 820, სხვა ტიპის მეურნეობები 475.

მეურნეობათა კლასიფიკაცია ნაკვეთების რაოდენობის მიხედვით¹

	მეურნეობათა რაოდენობა							სტრუქტურა %						
	სულ	ერთი ნაკვეთი	2 ან 3 ნაკვეთი	4 ან 5 ნაკვეთი	6-დან 9-მდე ნაკვეთი	10-ან მეტი ნაკვეთი	არ არის მითითებული	სულ	ერთი ნაკვეთი	2 ან 3 ნაკვეთი	4 ან 5 ნაკვეთი	6-დან 9-მდე ნაკვეთი	10-ან მეტი ნაკვეთი	არ არის მითითებული
საქართველო	729542	247312	356232	94482	28372	89	3255	100	33,9	48,8	13	3,9		
აჭარა	50231	26591	18871	3393	1114	3	259	100	52,9	37,6	6,8	2,2		
გურია	36955	7491	21075	7202	1168	1	18	100	20,8	57	9,5	3,2		
იმერეთი	14955	37789	80913	24857	5693		298	100	25,3	54,1	16,6	3,8		
კახეთი	118559	29640	74983	12443	1418	10	63	100	25	63,2	10,5	1,2		
მცხეთა-მთიანეთი	34006	8752	20466	4199	385	7	197	100	25,7	60,2	12,3	1,1		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	18058	3056	8150	4844	1983	5	20	100	16,9	45,1	26,8	11		
სამეგრელო-ზემო სვანეთი	105254	58533	44767	1359	414	12	169	100	55,6	42,5	13	0,4		
სამცხე-ჯავახეთი	46742	7790	15287	1360	9819	21	224	100	16,7	32,7	29,1	21		
ქვემო ქართლი	96716	51093	37743	4875	2455	25	525	100	52,8	39	5	2,5		
შიდა ქართლი	72930	16293	33549	17679	3922	2	1482	100	22,3	46	24,2	5,4		

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი. 2005. გვ.88-89.

ცხრილის (7) მიხედვით, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული იყო 100215 ჰა მიწა. მათ შორის ხეხილის ნარგავები 36,9 ჰა. ვენახი – 37,4% ათასი ჰა, ციტრუსების პლანტაციები – 8,7 ათასი ჰა, ჩაის პლანტაციები – 11,5 ათასი ჰექტარი. სხვა მრავალწლიანი ნარგავები 4,8 ათასი ჰა. რეგიონების მიხედვით მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურა განსხვავებულია. მაგალითად, აჭარაში მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურაში წამყვანია ციტრუსები (74%), გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – ჩაის პლანტაციები (შესაბამისად 31,2% და 27,4%). იმერეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო ქართლში – ვენახები. შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში – ხეხილის ბაღები. შენარჩუნებულია ზონალური სპეციალიზაციის პროფილი.

ცხრილები (8,9,10,11) გვაძლევს წარმოდგენას მრავალწლიანი კულტურების ფართობის, ძირთა რაოდენობის, ასევე ცალკე მდგომ ძირთა რაოდენობის და მსხმოიარე ასაკში არსებული ნარგავების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები იძლევა (ცხრილი 12) ინფორმაციას მეურნეობათა კლასიფიკაციისათვის მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით. ცხრილიდან ჩანს, რომ ერთი ჰა-მდე მიწის ფართობი აქვს მეურნეობათა 69,5%-ს. 1-დან 2 ჰა – 23%, 2-დან 5 ჰა – 4,2%, 5-დან 10-მდე – 0,8%, 10-დან 20-მდე – 0,4%, 20-დან 50-მდე – 0,16%, 50-დან 100 ჰა-მდე – 0,06%, 100-დან 200-მდე – 0,04%, 200-დან – 500-მდე – 0,3%, 500-ზე ზემოთ 0,01%.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის სრული ფართობის მიხედვით მეურნეობების მაჩვენებლებს, იგი შემდეგ სურათს იძლევა: 1 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწა აქვს მეურნეობათა 74,5%-ს. 1-დან 5 ჰექტრამდე – 23,2%, 5-დან 10 ჰექტრამდე – 0,9%, 10-დან 50 ჰექტრამდე 0,54%, 50-დან 100 ჰექტრამდე – 0,07%, 100-ზე ზემოთ 0,08%-ს.

აღწერის მიხედვით (ცხრილი 13), საქართველოში მეურნეობების საშუალო ფართობი შეადგენს 1,22 ჰა, ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომაა 0,52 ჰა. ეს მაჩვენებლები ოჯახური მეურნეობების მიხედვით შეადგენს, შესაბამისად, 1,05, 2,3 და 0,45 ჰა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით 110,8, 3,1 და 39,70 ჰა-ს. აღსანიშნავია, რომ მიწების პრივატიზაციის შედეგად მიწების დანაწევრება მოხდა. აღწერის მიხედვით, მეურნეობების 33,9%-ს აქვს ერთნაკვეთიანი ფართობი, 48,8%-ს 2 - ან 3 ნაკვეთიანი ფართობი, 13%-ს – 4 ან 5 ნაკვეთიანი, 3,9%-ს 6-დან 9 ნაკვეთამდე, 0,4%-ს 10 ან მეტი ნაკვეთი (ცხრილი 14). ცხრილი 15 წარმოდგენას გვაძლევს მიწების განაწილებაზე მიწათმფლობელობის მიხედვით. ცხრილის მიხედვით,

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობიდან საკუთრებაში იყო 65,2%, იჯარით აღებული – 34,8%. ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან სახნავზე მოდიოდა 56,2%, სათიბ-საძოვრებზე – 31,8%, მრავალწლიან ნარგავებზე – 11,9%.

2004 წლის აღწერის შედეგები იძლევა საფუძველს გააკეთდეს შემდეგი სახის დასკვნები. აღწერის მიხედვით, ქვეყნის მეურნეობების საერთო რაოდენობაში გადამწყვეტ როლს ოჯახური მეურნეობები ასრულებენ (მათზე მოდის მეურნეობების 99,8%), სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა უმნიშვნელოა (მეურნეობათა საერთო რაოდენობის 0,1%). სხვა ტიპის მეურნეობები – 0,1% შეადგენენ. იურიდიული სტატუსის მიხედვით 820 საწარმოდან შპს 38,7%-ია, კოოპერატივი – 10,2%. აღნიშნული მეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას საქმიანობის მიზნად აღიარებს 82,2%. აღსანიშნავია, რომ მეურნეობების მხოლოდ 17,8% აწარმოებს პროდუქციას ბაზრისათვის. მიწების პრივატიზაციის მოუმზადებლად ჩატარებამ გამოიწვია სავარგულების ფრაგმენტაცია.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მიწის საშუალო ფართობი შეადგენს 1,22 ჰა, ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33 ჰა, ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა – 0,52 ჰა. როგორც 12 ცხრილიდან ჩანს, მეურნეობათა 74,5% ამუშავებს 1 ჰექტრამდე მიწის ფართობს. 20-დან 50 ჰექტრამდე მიწა აქვს მეურნეობათა 0,16%-ს, 100-დან 200-მდე - 0,04%-ს. 500 ჰექტარზე ზემოთ – 0,01%-ს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 48,8% 2 ან 3 ნაკვეთისაგან შედგება. მეურნეობათა 3,9% დამუშავებაში არსებული მიწის ფართობი შედგება 6-დან 9 ნაკვეთამდე. ნიშანდობლივია, რომ ერთნაკვეთიანი მიწის ფართობი აქვს მეურნეობათა 33,9%-ს.

მიწის ფრაგმენტაციის მაჩვენებლები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მაგალითად, გურიაში მეურნეობათა 19,5%, იმერეთში – 16,6%, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში - 26,8%. შიდა ქართლში – 24,2%-ის მიწის ფართობი შედგება 4 ან 5 ნაკვეთისაგან. ხოლო სამცხე-ჯავახეთში მეურნეობათა 21%-ის მიწის ფართობი შედგება 6-დან 9 ნაკვეთამდე. რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი შეადგენს: შუახევის რაიონში – 9,8%-ს, ჭიათურაში – 9,3%, საჩხერეში – 10,4%, ონის რაიონში – 13,2% მესტიაში – 9,8%, ახალქალაქში – 27,8%, ახალციხეში – 25,7%, წალკის რაიონში – 25,9% და ა.შ.

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი და მისი სტრუქტურა მიწათმფლობელობის ფორმების მიხედვით¹

	ფართობი ჰა	საკუთრებაში არსებული	იჯარით აღებული სახელმწიფოსგან	იჯარით აღებული კერძო პირისგან
სულ	886,766	578,281	295,911	12,573
სტრუქტურა %	100	65,2	33,4	1,4

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი 2005წ. გვ.33.

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწა და მისი სტრუქტურა მიწათსარგებლობის ფორმირების მიხედვით¹

	ფართობი ჰა	სასოფლო-სამეურნეო მიწა	არასასოფლო-სამეურნეო მიწა
სულ	886,766	839,709	47,057
სტრუქტურა %	100	94,7	5,3

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი 2005წ. გვ.36.

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა და მისი სტრუქტურა მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით¹

	ფართობი ჰა	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათბურები	სათიბ-სამძვრები
სულ	839,709	472,120	100,215	311	267,062
სტრუქტურა %	100	56,2	11,9	0,0	31,8

1.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი 2005წ. გვ.39.

1.5. ვერტიკალური ზონალობის თავისებურებები

საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ტერიტორიის სიმაღლეების მიხედვით განაწილების თავისებურება. მხედველობაში გვაქვს ვერტიკალური ზონალობა (გადაადგილება). როგორც 16 ცხრილიდან ჩანს ქვეყნის ტერიტორიის საერთო ფართობიდან ტერიტორიის საშუალო სიმაღლე 0-1400 მეტრია (60,1%).

ცხრილი 16

საქართველოს ტერიტორიის განაწილება სიმაღლეების მიხედვით¹

სიმაღლეთა ზონები მ-ში	არეალების ფართობები დასავლეთ საქართველოში კმ ²	არეალების ფართობები მდ. მტკვრის აუზში (საქართველოს ფარგლებში) კმ ²	არეალების ფართობები კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე (საქართველოს ფარგლებში) კმ ²	საქართველოს ტერიტორია	
				არეალების ფართობები კმ ²	% საერთო ფართობიდან
0-200	7673,2	282,2	-	7955,4	11,3
200-400	2464,5	3405,7	-	5870,2	8,4
400-600	2104,6	4245,1	-	6349,7	9,1
600-1000	4209,8	7671,3	-	11881,1	17,0
1000-1400	4144,4	5844,9	6,8	9996,4	14,3
1400-1800	4028,6	5631	76,9	9736,7	13,9
1800-2200	3594,3	4290,7	361,0	8246,0	11,8
2200-2600	2434,3	2247,4	686,4	5368,1	7,7
2600-3000	1303,4	923,6	814,1	3041,1	4,4
3000-3500	474,1	124,3	477,5	1075,9	1,5
3500-4000	165,5	6,1	172,3	345,9	0,5
4000-4500	31,6	-	24,8	56,4	0,1
4500-5000	5,1	-	4,7	9,8	0,0
ფართობი სულ კმ ²	32633,7	34672,5	2624,5	69930,7	100
ტერიტორიის საშუალო სიმაღლე, მ-ში	1120	1220	2700	1230	0-1400მ - 60,1%

¹ Геоморфология Грузии – (Ред. коллегия – Ф.Ф. Давитая, Л.И. Маруашвили (ответств. ред.), А.Л. Цагарели, Д.В. Церетели) – Тбилиси, 1971, изд. Мецниереба, стр. 607.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ქვეყნის ტერიტორია შემდეგ სურათს იძლევა. ტერიტორიის 29% მდებარეობს 0-დან 600 მეტრამდე, 17,1% – 600-დან 1000 მეტრამდე, 39,7% – 1000-დან 2200 მეტრამდე, 13,6% – 2200-დან 3500 მეტრამდე, 0,6% – 3500 მეტრზე ზემოთ.¹

ქვეყნის ტერიტორიის 53,6% მთაზე მოდის, 33,4% – მთის წინებზე. ბარის ტერიტორიას 13% უჭირავს. სახნავი ფართობის 10%-მდე (63,6 ათასი ჰა) განლაგებულია 10 გრადუსზე მეტ დაქანებაზე.² ამასთან, ერთ მლნ ჰა მიწას ზიანს აყენებს მეწყერები, ღვარცოფები. საქართველოში აღრიცხულია 10 ათასზე მეტი მეწყერი, 1000-მდე ღვარცოფიანი აუზი. სოფელში მცხოვრებთა 25-ათასამდე სახლი დაზიანებულია ან იმყოფება მეწყერის გავლენის ზონაში.³

ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები მის ცალკეულ რეგიონებს სპეციფიკურ ხასიათს აძლევს და ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ზონებსა და მიკროზონებს. ეს გარემოება საფუძვლად დაედო საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სქემის დამუშავებას. მეცნიერთა ჯგუფმა, პროფესორ პეტრე ჟღენტის ხელმძღვანელობით, XX საუკუნის 80-იან წლებში დაამუშავა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონალური სქემა (13 ზონითა და 11 ქვეზონით). დროთა განმავლობაში მეურნეობის გაძღოლის სრულყოფის ფონზე 1999 წელს აღნიშნულ სქემაში გარკვეული ცვლილებები შევიდა (ავტორები პროფესორი ო. ქეშელაშვილი და პროფესორი ვ. ბურკაძე) და იგი წარმოდგენილია 13 ზონად და 8 ქვეზონად.⁴ რა თქმა უნდა, ცხოვრება მომავალშიც ადეკვატურ ცვლილებებს შეიტანს სქემაში. დღეს კი მიგვაჩნია, რომ საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული სქემა უნდა იყოს ამოსავალი საწყისი უახლოეს პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებისათვის.

¹ საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები. (რუს). თბ., 1991. გვ. 194.

² სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

³ ა. მესხიშვილი. უძრავი ქონება. თბ. 2011, გვ. 12.

⁴ ომარ ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. თბ., 2009. გვ. 11.

ზონების დასახელება	ქვეზონების დასახელება	ადმინისტრაციული რაიონები
I. შიდა კახეთის მევენახეობის ზონა	I. ა მევენახეობის ქვეზონა	ახმეტის, თელავის, გურჯაანის ყვარელის
	I. ბ მევენახეობისა და საადრეო მებოსტნეობის ქვეზონა	ლაგოდეხის
II. გარე კახეთის მემარცვლეობა-მეცხოველეობისა და ვენახების ზონები		სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს
III. ქ. თბილისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს ბოლნისის
IV. აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის, ● ჯავის ●
V. შიდა ქართლის მეხილეობისა და საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ცხინვალის, ● ყორნისის ●
VI. სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა		წალკის, დმანისის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის
VII. იმერეთის მევენახეობისა და მეცხოველეობის ზონა		თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ბაღდათის ვანის
VIII. რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობისა და მევენახეობის ზონა	VIII ა. მეცხოველეობისა და მევენახეობის ქვეზონა	ცაგერის, ამბროლაურის
	VIII ბ. მეცხოველეობის	ონის

	ქვეზონა	
IX. დასავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		ლენტეხის, მესტიის
X. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის, ხონის
XI. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა		აბაშის, ხობის, სენაკის ზუგდიდის წალენჯიხის ჩხოროწყუს მარტვილის ოზურგეთის ლანჩხუთის ჩოხატაურის
XII. აფხაზეთის სუბტროპიკული და საგარეო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ზონა (სავარაუდო)	XII.ა. სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა, მეთამბაქოეობით	გაგრის, ● გუდაუთის, ● სოხუმის, ● გულრიფშის ●
	XII.ბ. მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა	ოჩამჩირის, ● გალის ●
XIII. აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონა	XIII.ა. სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა	ქობულეთის, ხელვაჩაურის

- ნიშნით აღნიშნულია ამჟამად კონფლიქტის ტერიტორიაზე მოქცეული რაიონები.

1.6. ეროზირებული ნიადაგები და მათი დაცვა

ბოლო წლებში გახშირდა ეროზიული პროცესები, მეწყერები, დვარცოფები, ზვავები, დამანგრეველი წყალდიდობები, რომლებსაც ყოველ წელს უზარმაზარი მატერიალური ზარალი მოაქვს. სტიქიური ეგზოდინამიკური პროცესები საშიშროებას უქმნის მოსახლეობას და სამეურნეო ობიექტებს.

მაღალმთიან რეგიონებში მიწის დეგრადაციის პროცესებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. ბუნებრივი ფაქტორებისა და ადამიანის

სამეურნეო საქმიანობის შედეგად დეგრადირებულია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 35-40%.

მიწის დეგრადაციის ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ნიადაგის ეროზია. საქართველოში ადგილი აქვს წყლისა და ქარისმიერ (დეფლაცია) ეროზიას, რის შედეგად ზიანდება სახნავ-სათესი ფართობების თითქმის ნახევარი. ნიადაგების წყლისმიერი ეროზია გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო ზონაში. გაცილებით ინტენსიურია ეს პროცესი დასავლეთ საქართველოს რაიონებში (აფხაზეთი, ზემო აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი), სადაც ერთი ინტენსიური წვიმის დროს ჰა სავარგულიდან შეიძლება ჩამოირეცხოს 120-150 ტონა ნაყოფიერი ნიადაგი.

აღმოსავლეთ საქართველოში გამოირჩევა გარე კახეთის (საგარეჯო, დედოფლისწყარო, გურჯაანის) რაიონები, აგრეთვე შიდა ქართლის რეგიონი, სადაც ძლიერი ქარების სიჩქარე გვიანი შემოდგომისა და ადრე გაზაფხულის თვეებში ზოგჯერ 25-30 მ/წამს აღემატება და ნიადაგს აცლის 5-6მმ სისქის ზედა ფენას.

საქართველოში დამუშავებული მიწების ერთი მესამედი ეროზირებულია.

როგორც წესი, ეროზირებული ნიადაგების ფართობების რაოდენობა მჭიდროდ უკავშირდება სახნავი მიწების განლაგებას ფერდობის დახრილობის მიხედვით (ცხრილი 18).

დასავლეთ საქართველოში არსებული სახნავებიდან, 1981 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის მონაცემებით 186,8 ათ. ჰა-დან, 0,2⁰-მდე დაქანების მქონე სახნავებს ეკავათ 89,7 ათ ჰექტარი (48,0%). 2-დან 10⁰-მდე დაქანებულ ფერდობებზე განლაგებულია 59,0 ათ. ჰა სახნავი მიწები (31,6%), ხოლო 10⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე 38,1 ათ. ჰექტარი (20,4%).

აღმოსავლეთ საქართველოში სახნავი ფართობები შეადგენს 486,4 ათ. ჰა-ს, მათ შორის 0-2⁰-მდე დაქანებულ ფერდობებზე განლაგებულია 266,6 ათ. ჰა (54,8%), 2-დან 10⁰-მდე დაქანებულ სახნავებს უკავიათ 199,3 ათ. ჰა (39,9%). 10⁰-ზე მეტი დაქანების პირობებში განლაგებულია 65,5 ათ. ჰა (13,5%).

სახნავი მიწების განლაგება ფერდობების¹
დახრილობის ჯგუფების მიხედვით (ათასი ჰა/ %)

ზონები	სახნავი სულ	მათ შორის						
		0-2 ⁰	2-5 ⁰	5-10 ⁰	10- 15 ⁰	15- 20 ⁰	20- 25 ⁰	>25 ⁰
დასავლეთ საქართველოს რაიონები	141,9	79,0	17,8	20,2	13,8	7,9	1,7	1,5
	100	55,7	12,5	14,2	9,7	5,6	1,2	1,1
აფხაზეთის არ.	36,1	9,6	11,7	3,4	6,8	3,0	1,2	0,4
	100	26,7	32,4	2,4	18,8	8,3	3,3	1,1
აჭარის არ.	8,8	1,1	3,5	2,4	1,0	0,4	0,3	0,1
	100	12,5	29,5	27,3	11,4	4,5	3,4	11,4
სულ დასავლეთ საქართველო	186,8	89,7	33,0	26,0	21,6	11,3	3,2	2,0
	100	48,0	17,7	13,9	11,6	6,0	1,7	1,1
აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები	467,7	262, 4	123,8	62,3	15,0	3,7	0,2	0,3
	100	56,1	26,5	13,3	3,2	0,8	0,04	0,06
სამაჩაბლო	18,7	4,2	3,6	4,6	3,8	1,4	0,6	0,5
	100	22,5	19,2	24,6	20,3	7,5	3,2	2,7
სულ აღმოსავლეთ საქართველო	486,4	266, 6	127, 4	66,9	18,8	5,1	0,8	0,8
	100	54,8	26,2	13,7	3,9	1,1	0,1	0,2
სულ საქართველო	673,2	356,3	160, 4	92,9	40,4	16,4	4,0	2,8
	100	52,9	23,8	13,8	6,0	2,4	0,6	0,5

1. Генеральная схема противозерозийных мероприятий Груз. ССР, на 1981-1990 годы, на период до 2000 года. Тбилиси, 1988.

ეროზირებული სახნავი ფართობები აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენს 129,4 ათას ჰექტარს, ანუ მთელი სახნავი ფართობების 27,7%-ს. მათ შორის სუსტად ეროზირებულია 74,6 ათ. ჰა ფართობი (16,0%), საშუალოდ ეროზირებულია – 45,0 ათასი ჰა (9,6%) და ძლიერ ეროზირებული კი 9,8 ათასი ჰექტარი (2,1%) (ცხრილი 19).

საქართველოს ეროზირებული სახნავი ფართობები¹ (ათასი ჰა %)

ადმინისტრაციული ერთეულები	სახნავი მიწები	მათ შორის ეროზირებულია				
		სუსტად	საშუალოდ	ძლიერ	სულ	
სამაჩაბლო	ათ.ჰა	18,7	5,5	6,1	1,7	13,3
	%	100	29,4	32,6	19,5	71,1
აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები	ათ.ჰა	467,7	74,6	45,0	9,8	129,4
	%	100	16,0	9,6	2,1	27,7
სულ აღმოსავლეთ საქართველოს	ათ.ჰა	486,4	80,1	51,1	11,5	142,7
	%	100	16,5	10,5	2,4	29,3
აფხაზეთის არ.	ათ.ჰა	141,9	24,0	15,5	3,1	42,6
	%	100	16,9	10,9	2,2	30,0
აჭარის არ.	ათ.ჰა	8,8	2,7	2,5	0,1	5,3
	%	100	30,7	28,4	1,1	60,2
დასავლეთ საქართველოს რაიონები	ათ.ჰა	186,8	30,4	23,3	9,3	63,0
	%	100	16,3	12,5	5,0	33,7
სულ საქართველოსში	ათ.ჰა	674,4	110,5	74,4	20,8	205,7
	%	100	16,4	11,1	3,1	30,5

1. მაჭავარიანი ვ. – ნიადაგის ეროზია და დაცვის ღონისძიებები. "მეცნიერება", თბ., 1987.

აღმოსავლეთ საქართველოში ყოველ ჰა-ზე ეროზიით ნიადაგის გადარეცხვის მაჩვენებელი 100-130 ტონას, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 150-300 ტონას შეადგენს.

დასავლეთ საქართველოში 186,8 ათასი ჰექტარი სახნავი მიწებიდან სხვადასხვა ხარისხით ეროზირებულია 63,0 ათ. ჰექტარი, სახნავების საერთო ფართობის 33,7%. მათ შორის 9,3 ათ.ჰა (5,0%) ძლიერ ეროზირებულია, 23,3 ათ.ჰა (12,5%) საშუალოდ, ხოლო 30,4 ათ.ჰა (16,3%) სუსტად. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში პროცენტულად ორჯერ მეტი სახნავი ფართობია ძლიერ ეროზირებული და 2,5%-ით მეტი სახნავი ფართობი საშუალოდ ეროზირებული. სუსტად ჩამორეცხილი სახნავი ფართობების პროცენტული შემცველობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში თითქმის თანაბარია. საქართველოში სხვადასხვა ხარისხით ეროზირებულია 205,7 ათასი სახნავი მიწა, სახნავების საერთო ფართობის 30,5%. აქედან ძლიერ და საშუალოდ ეროზირებულია სახნავების საერთო ფართობის 14,2%.

აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ქარისმიერი ეროზია. ის ძირითადად გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლში და განსაკუთრებით გარე კახეთსა და შირაქის ველზე.

შიდა ქართლში ქარისმიერი ეროზიით დაზიანებულია 21,3 ათასი ჰექტარი, რეგიონის სახნავი ფართობის 28,3% (ცხრილი 20). ქვემო ქართლში ქარისმიერი ეროზიით დაზიანებულია 35,1 ათ.ჰა (30,9%). ქარისმიერი ეროზიის განსაკუთრებით ძლიერი გამოვლინებით ხასიათდება გარე კახეთი – საგარეჯოს, გურჯაანის და სიღნაღის რაიონების სახნავი ფართობები, სადაც აღნიშნული პროცესით დაზიანებულია 22,6 ათასი ჰა (27,9%). ქვეყნის უკიდურესი სახრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია დედოფლისწყაროს რაიონი, რომლის სახნავი ფართობების 37,0% (20,0 ჰექტარი) დეგრადირებულია ქარისმიერი ეროზიის ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად.

ცხრილი 20

ქარისმიერი ეროზიით დაზიანებული

სახნავი მიწების ფართობები რეგიონების მიხედვით¹

რეგიონები	სახნავი სულ	ეროზირებული ფართობი, ათ.ჰა
შიდა ქართლი	75,3	21,3
	100	28,3
ქვემო ქართლი	113,7	35,1
	100	30,9
გარე კახეთი	80,9	22,6
	100	27,9
დედოფლისწყარო	54,1	37,0
	100	3,5
სამხრეთ საქართველო	39,2	3,5
	100	8,9
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	362,0	102,5
	100	28,3

1. მაჭავარიანი ვ. – ნიადაგის ეროზია და დაცვის ღონისძიებები. “მეცნიერება”, თბ., 1987.

ზემოთაღნიშნულ პროცესებს შედარებით ნაკლები გავრცელება აქვს სამხრეთ საქართველოში, სადაც დეგრადირებულია 3,5 ათასი ჰექტარი, რეგიონის სახნავი მიწების 8,9%.

ნიადაგების ეროზიული პროცესების ინტენსივობა მჭიდროდ უკავშირდება ექსტრემალური ნიადაგების ერთეულ შემთხვევებს. ასეთ პირობებში ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას კატასტროფული ხასიათი აქვს და დამუშავებული მიწებიდან ჩამორეცხება განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნიადაგური მასა. გ.გოგიჩაიშვილის

(1991) გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნალექების პოტენციური მჭიდრო კავშირშია ფერდობებიდან ჩამორეცხილი ნიადაგების რაოდენობასთან.

სათიბებსა და საძოვრებზე ეროზიული პროცესების ინტენსიური განვითარება მთლიანად განპირობებულია დაბალი ორგანიზაციული და აგროტექნიკური დონით, რის გამოც სათიბ-საძოვრების მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება, შესაბამისად, მთიანი მეცხოველეობის პროდუქტიულობაც საკმაოდ დაბალია. ზამთრისა და შემოდგომა-გაზაფხულის საძოვრების ფართობები თანდათანობით მცირდება, რაც მეცხოველეობის საკვებ ბაზას კიდევ უფრო ასუსტებს.

ცხრილი 21

საქართველოს სათიბებისა და საძოვრების ეროზირებული ფართობები (ჰექტრებში)¹

მხარეები	სათიბი	მ.შ.ეროზირებული ფართობების ხარისხის მაჩვენებელი			საძოვარი	მ.შ.ეროზირებული ფართობების ხარისხის მაჩვენებელი		
		სუსტად	საშუალოდ	ძლიერ		სუსტად	საშუალოდ	ძლიერ
აღმოსავლეთ საქართველო	24387	12868	9114	2467	375266	95380	162794	116448
დასავლეთ საქართველოს	10568	3506	4789	2273	48209	8860	16785	22564
აჭარის ა/რ	5860	1813	2509	1538	4012	739	1877	1396
აფხაზეთის ა/რ	320	120	180	17	13067	3172	3755	6140
სამცხე-ჯავახეთი	3736		1350	184	55992	10248	21902	23842
საქართველოში სულ	51,5	24,5	19,2	6,5	496,6	118,4	206,9	171,3

1. მაჭავარიანი გ. – ნიადაგის ეროზია და დაცვის ღონისძიებები. "მეცნიერება", თბ., 1987.

ვინაიდან ეროზიული პროცესები მიმდინარეობს მრავალი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით, მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსი, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ. ეროზიული მოვლენების თავიდან აღკვეთა შედარებით იოლია, ვიდრე მის შედეგებთან ბრძოლა. ნ.იაშვილი (1976).

უკანასკნელ პერიოდში, ეროზიულ-აკუმულაციურ პროცესებთან ერთად, მთისა და მაღალმთიან რაიონებში ყოველწლიურად მატულობს სტიქიური ეგზოდინამიკური პროცესები: მეწყერები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები, წყალდიდობები ე.წ. “სელები”, რასაც ხელს უწყობს მთის ტყეების უსისტემო ჩეხვა, მეწყერები, ხანძრები, ადგილობრივი გზების გაყვანა და სხვა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ცვლის მთიანი ლანდშაფტის ჰიდროლოგიურ რეჟიმს. მცენარეული საფარის გარეშე თოვლის მასების დნობა ჩქარდება. კოკისპირული წვიმების ნაკადი კატასტროფულ ხასიათს იღებს და ანადგურებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ბუნებრივ საძოვრებს. ფერდობების ნიადაგი ინტენსიურად ირეცხება, ისპობა ჰუმუსიანი პირიზონტი, მცირდება სათიბი მდელოები, ზედაპირზე შიშვლდება მთის ქანები, ქვები და კლდეები.

1.7. ნიადაგების და დარღვეული ლანდშაფტების

რეკულტივაცია (აღდგენა)

საქართველო მდიდარია მრავალგვარი სასარგებლო წიაღისეულით, რომელთა დამუშავება ასეულ წლებს ითვლის. სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში ფართოდ დაინერგა სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, რომელიც უდავოდ რენტაბელურია, მაგრამ მას დიდი უარყოფითი მხარეც აქვს, რადგან ამ დროს დიდ ფართობზე ნადგურდება მცენარეულობა და ნიადაგური საფარი, განსაკუთრებით დიდია საუკუნეთა მანძილზე გაწონასწორებული ბუნებრივი ლანდშაფტების გაჩანაგება, რასაც თან ახლავს მიწების რღვევა დიდ სიღრმეზე. მწყობრიდან გამოდის ათეულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწის ფართობი და დიდძალი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. იცვლება ჰიდროლოგიური რეჟიმი, ბინძურდება წყალსაცავები და წყაროები, უარესდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ა.შ. ტერიტორია ხშირად ქვადორღისა და ორმოების უსწორმასწორო ნაყარებად არის ქცეული და მათ ადგილზე დარჩენილია ე.წ. “ინდუსტრიული უბნები”, სადაც ინტენსიურად ვითარდება ეროზიული და მეწყერული მოვლენები.

საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის და სამშენებლო მასალების ღია წესით მოპოვება ხდება. ამ “აგრესიული” მეთოდით წარმოებდა ჭიათურაში – მანგანუმის, სამგორში – გაჯის, წყალტუბოში – ბენტონიტური თიხების, რაჭა-ლეჩხუმში – ბარიტისა და დარიშხანის, ჭიათურა-სახხერეში – კვარცის ქვიშების, მადნეულში – პოლიმეტალების და სხვა წიაღისეულის მოპოვება.

დარღვეული მიწების რეკულტივაციის საწარმოო სამუშაოები ძალზე დაბალი ხარისხით ხორციელდებოდა და ამიტომ დარღვეული მიწების ფართობების დიდი ნაწილი დარჩენილია რეკულტივაციის გარეშე.

გასათვალისწინებელია, რომ მთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ხდებოდეს, ვინაიდან იგი ეკოლოგიურ საფრთხეს შეიცავს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მწყობრიდან გამოსული ნიადაგების ათვისება, როგორც წესი, შეუძლებელია რეკულტივაციის (აღდგენის) გარეშე, ვინაიდან რეკულტივირებული მიწები – მუდმივი რეზერვია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე – ტყის სავარგულების გადიდებისათვის, ისეთი მცირემიწიანი და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო.

დარღვეული მიწების რეკულტივაცია ტექნიკურ და ბიოლოგიურ ეტაპებად ხორციელდება. ტექნიკურ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაყარების გადაწყობის წესს. სამთო-ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპის საბოლოო მიზანია მწობრიდან გამოსულ ნიადაგებზე შეიქმნას ყველა პირობა ბიოლოგიური რეკულტივაციისათვის, რომელთა სახეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია – ერთწლიანი და მრავალწლიანი ბაღჩების თესვა, ტყის მასივების, პარკებისა და მწვანე ზონების შექმნა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, ბალახების სიდერაციასთან შესამეობით. (ნ.იაშვილი, ვ.ღუჯავა 2004).

წიაღისეულის სიმდიდრეების მოპოვებითი სამუშაოები თანამედროვე ეტაპზე ფაქტობრივად შეწყვეტილია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში იგი აღდგება და კვლავ განახლდება. ამიტომ ამ მიზნებისათვის აუცილებელია ჩატარდეს საფარის დეტალური გამოკვლევა და დაისახოს ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს კვლავ დაავუბრუნოთ მიწის ფართობები სოფლის მეურნეობას.

1.8. ქიმიზაცია და გარემოს დაცვა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების წარმატებით გადაწყვეტაში, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ორგანული და მინერალური სასუქების სწორი და დროული გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის მატებაში მარტო მინერალურ სასუქებზე 50-60% მოდის, ჰერბეციდებზე – 15-20%, ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებზე – 15%. მინერალური სასუქების ეფექტიანობა ყველაზე კარგად ჭარბი ნალექების ზონებსა და სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში ვლინდება. (ო.ზადალიშვილი, თ.ურუშაძე 1992).

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ერთი ჰა ფართობზე შეტანილი ცენტნერი მინერალური სასუქი მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს: მარცვლეულის 2-3 ც/ჰა, კარტოფილის 10-11 ც/ჰა, ბოსტნეულის 8-10 ც/ჰა და ა.შ.

ქვეყანაში ყოველწლიურად ნიადაგების ნაყოფიერება მკვეთრად ეცემა. ადგილი აქვს ნიადაგების დეგრადაციას და საკვები ელემენტებით გაღარიბებას, რაც განპირობებულია ორგანული და მინერალური სასუქების ნაკლებობით.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს სასოფლო მეურნეობების მიერ გამოყენებული მინერალური სასუქების მონაცემები მოტანილია მე-22 ცხრილში.

ცხრილი 22

მეურნეობების მიერ გამოყენებული

მინერალური სასუქები¹ (ათ. ტონა)

გამოყენებული ყველა სახის მინერალური სასუქი							
წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
გამოყენებული სასუქის რაოდენობა	95,9	51,1	52,7	59,6	51,7	45,1	56,4
მათ შორის აზოტიანი (ათ.ტონა)							
წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ამონიუმის გვარჯილა	67,2	46,8	51,2	57,9	50,2	43,3	49,5
სხვა სასუქები (ათ.ტონა)							
წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ფოსფორიანი, კალიუმიანი, ტორფიანი, მელიორანტები	28,7	4,3	1,5	1,7	1,5	1,7	6,9

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საყურადღებოა, რომ 2007-2008 და 2010-2011 წლებში, შესამჩნევად კლებულობს ყველა სახის მინერალური სასუქის, მ.შ. აზოტიანი და სხვა სასუქების ხვედრითი წილი, რომელთა ეფექტიანობა დამოკიდებულია ნიადაგში მცენარისათვის ყველა საკვები ნივთიერების საკმარისი რაოდენობით შემცველობასა და შეფარდებაზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ნიადაგებიც განსხვავებული ნაყოფიერებით გამოირჩევა. შესაბამისი კვლევების საფუძველზე, საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) საერთო და შესათვისებელი ფორმების შეფარდებით

მიღებულ იქნა ძირითადი ნიადაგების შემდეგი კლებადი რიგი: მთა-მდელოს > მდელოს ყავისფერი > ყომრალი, წითელმიწები, შავმიწები, შავი, ყავისფერი, რუხი-ყავისფერი > კორდიან-კარბონატული > ალუვიური > ყვითელმიწა ეწერი > დამლაშებული ნიადაგები.

ქიმიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდიდარი რესურსების კომპლექსურად გამოყენების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და წარმოების მექანიზაციის დონის ამაღლების წინაპირობაა, მაგრამ ქიმიზაციის დარგში უხარისხოდ ჩატარებულ ღონისძიებებს ზოგიერთ სტიქიურ უბედურებაზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებით მომავალში მიწათმოქმედებაში საკვებ ნივთიერებათა წრებრუნვის რეგულირების ძირითადი საშუალება მინერალური სასუქები იქნება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასუქებს, დიდ სიკეთესთან ერთად, ზიანის მოტანაც შეუძლია. კერძოდ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ შეტანილმა სასუქებმა არ გამოიწვიოს რაიმე ნეგატიური გავლენა პროდუქციის ხარისხზე და გარე სამყაროზე, რაც მეტად აქტუალური საკითხია და მოითხოვს გადაწყვეტას, რამდენადაც ინტენსიური ქიმიზაციის დროს სასუქების სისტემატური და დიდი დოზებით გამოყენების შედეგად მკვეთრად უარესდება დასაშვები ზღვრული კონცენტრაცია და მნიშვნელოვნად უარესდება პროდუქციის ხარისხი. პარალელურად მატულობს ნიადაგში და გრუნტის წყლებში მავნე შენაერთთა შემცველობა, რაც კიდევ უფრო აუარესებს გარშემო ადამიანთა ყოფის პირობებს. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნიადაგით გარემოს დატუჩყიანების პრობლემა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას წარმოქმნის შხამიან ნივთიერებებს – ნიროზამინებს. ამ მხრივ მეტად საშიშია აზოტმჟავას მარილები.

მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებითა და შხამქიმიკატებით. პესტიციდების, ჰარბიციდების, ფუგიმანტების, მინერალური სასუქების საყოველთაო განუკითხავი გამოყენების შედეგად იწამლება და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება მდინარეები, ატმოსფერო, ნიადაგები, რის შედეგადაც იზრდება სხვადასხვა სახის დაავადებები.

2006-2012 წლებში პესტიციდებით დამუშავებულ იქნა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების 337,5 ათ. ჰექტარი, მ.შ. ფუნგიციდები გამოყენებულ იქნა 81,5 ათ. ჰა-ზე, ინსექტიციდები – 58,4 ათ. ჰა-ზე, სხვა პესტიციდები (ჰერბიციდები, როდენტიციდები, ფუგიმანტები) – 190,0 ათ. ჰა-ზე, მთელი მრავალწლიანი ნარგავების მთლიანი ფართობის 10278 ათ. ჰექტარი – აქედან ფუგიციდებით დამუშავებულ იქნა 768,2 ათ. ჰა, ინსექტიციდებით – 136,6 ატ. ჰა, სხვა პესტიციდებით – 123,0 ათ. ჰა.

ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ბიოსფეროსა და ქსენობიოტიკების ურთიერთობის საკითხი. განსაკუთრებით საყურადღებოა ნიადაგის დაცვა პესტიციდებისაგან. მიუხედავად მათი სხვადასხვა წესებით გამოყენებისა, გარკვეული ნაწილი აუცილებლად ხვდება ნიადაგში, აქედან კი შესაძლებელია შემდგომი გადანაწილება ბიოსფეროში.

შხამქიმიკატების, პესტიციდების საყოველთაო განუკითხავი გამოყენების შედეგად იწამლება და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება მდინარეები, ატმოსფერო, ნიადაგები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად ფრიად მნიშვნელოვანია ორგანული სასუქების, კერძოდ ნაკელის გამოყენება, განსაკუთრებით, ჰუმუსის დეფიციტის შესავსებად, რომლის შემცირების ტენდენცია თითქმის ყველა ტიპის ნიადაგში შეიმჩნევა.

შეტანილი ნაკელის 2/3-3/4 მთლიანად განიცდის მინერალიზაციას და აზოტითა და ნაცრის ელემენტებით ამარაგებს მცენარეებს. ამასთან, ნაკელის სისტემატური გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება ჰუმუსის შემცველობა, რაც ცალკეულ შემთხვევაში შეტანილი ნაკელის 1/3-1/4% უდრის.

რესპუბლიკაში 2006-2007—2008 წლებში, შესაბამისად, ნაკელი გამოყენებული იყო 531 ათ. ტონა, 448 ათ/ტ, 385 ათ/ტ. აქედან ერთწლიანი კულტურების ფართობი განოყიერებულ იქნა 44,9 ათ.ჰა, 27,4 ათ.ჰა და 54,3 ათ.ჰა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავები – 21,7 ათ.ჰა, 15,5 ათ.ჰა, 23,8 ათ.ჰა, რაც საშუალოდ 1 ჰექტარ ფართობზე 7,3 ტ შეადგენს, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორგანულ სასუქზე სასოფლო მეურნეობების მოთხოვნილება **15-16%-ით ძლივს კმაყოფილდება**; აღსანიშნავია, რომ ამ მცირე რაოდენობის ნაკელიც ვერ გამოიყენება რაციონალურად.

ორგანული და მინერალური სასუქებით გარემოს გატუჭყიანება დიდად არის დამოკიდებული სასუქების გამოყენების წესებზე. სასუქების შენახვის სწორი ორგანიზაცია, მათი გამოყენება აგროწესებისა და კვლევიითი ინსტიტუტების რეკომენდაციების მიხედვით მნიშვნელოვნად ამცირებს დანაკარგებსა და იცავს გარემოს გატუჭყიანებისაგან.

ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაბუთებაში უმნიშვნელოვანესია ბიოსფეროსა და ქსენობიოტიკების ურთიერთობის საკითხი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა ნიადაგის დაცვა პესტიციდებისაგან, ჰერბიციდებისაგან, ფუნგიციდებისაგან. მიუხედავად მათი სხვადასხვა წესით გამოყენებისა, გარკვეული ნაწილი აუცილებლად

ხვდება ნიადაგში. აქედან კი შესაძლებელია შემდგომი გადანაწილება ბიოსფეროში (თ.ურუშაძე, 1980).

პრობლემის გადაწყვეტისადმი მეცნიერული მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური დაცვა, მისი ძირითადი რგოლებისა და პროცესების ოპტიმალური ტექნიკური უზრუნველყოფით. დავეგეგმოთ ქიმიკატების სამუშაოები, ვადები და მოცულობა და ამით უზრუნველვყოთ ქიმიური საშუალებების გამოყენების ოპტიმიზაცია. უპირატესობა უნდა მიეცეს ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს, რაც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქცია. აუცილებელია აგროტექნიკური, ფიზიკურ-მექანიკური, სელექციური საშუალებების გამოყენებით ტექნოლოგიების დამუშავება, შხამქიმიკატების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა; ფიტოსანიტარული სიტუაციების მონიტორინგი; ნაყოფებსა და ნიადაგებში პესტიციდების რაოდენობის განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდები; ნიადაგში მოხვედრილი რადიაციული იზოტოპების უვნებელსაყოფად პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, მინერალური და ორგანული სასუქების მეცნიერულად დასაბუთებული მართვის ზონალური სისტემები და აგროტექნიკური მონიტორინგის ორგანიზაცია.

სამწუხაროდ, დღეისათვის ქვეყნის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ხარისხის კონტროლის ჩამოყალიბებული სისტემა არ არსებობს.

დასკვნები

1. მიწის პრივატიზაციის შედეგად თვისებრივად შეიცვალა მიწათმფლობელობის წესი. მიწების საერთო ფართობის 12,5%, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,3%, მათ შორის სახნავის 54,6%, მრავალწლიანი ნარგავების 68%, სათიბების 30%, საზოგრების 4,7% კერძო საკუთრებაშია.
2. სასოფლო-სამეურნეო აღწერის (2004 წ.) მიხედვით შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა. სახნავი შეადგენს 56,2%, მრავალწლიანი ნარგავები – 11,9%, სათიბ-სადოვრები 31,8%-ს. ასევე შეიცვალა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრუქტურაც. მნიშვნელოვნად გაიზარდა დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი (2003 წელს შეადგინა 300,7 ათასი ჰა. 2011 წელს – 520273 ჰექტარი). “სხვა დანარჩენი გამოუყენებელი მიწის” ფართობმა შეადგინა 298,9 ათასი ჰა (მათ შორის ხევები – 171,3 ათასი ჰა, კლდეები – 18,4 ათასი ჰა).

მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობი – ხეხილის 3,4ჯერ, ვენახის 3ჯერ, ციტრუსების 2,8ჯერ, ჩაის 5,4ჯერ.

3. პრივატიზაციამ მიწების დაქუცმაცება გამოიწვია. მეურნეობების საშუალო ფართობი შეადგენს 1,22 ჰექტარს. ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33-ს. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა 0,52 ჰა-ს. მეურნეობების 48,8%-ს აქვს 2 ან 3 ნაკვეთიანი ფართობი, 13%-ს – 4 ან 5 ნაკვეთიანი, 4%-ს 6-9 ნაკვეთამდე. მეურნეობათა 74,5% ამუშავებს 1 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს.
4. ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები (ვერტიკალური ზონალობა) ცალკეულ რეგიონებს სპეციფიკურ ხასიათს აძლევს და ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ზონებსა და მიკროზონებს. ამის შესაბამისად დამუშავებული სოფლის მეურნეობის საწარმო სპეციალიზაციის სქემა უნდა მივიჩნიოთ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ამოსავალ პირობად.
5. ეროზიული პროცესები, მეწყერები, ღვარცოფები, დამანგრეველი წყალდიდობები, მეორადი დაჭაობებისა და გაუდაბნოების დაწყებული პროცესები დიდ მატერიალურ ზარალს იწვევს. დეგრადირებულია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 35-40%. 1990 წლიდან მიწის დაცვის, მისი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი არ ხორციელდება.
6. ქვეყანაში 2005 წლიდან მიწის აღრიცხვა მოიშალა. მიწის ბალანსი არ დგება. მიწის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ფუნქციები სხვადასხვა უწყებებზეა გადანაწილებული. მათი საქმიანობის კოორდინაცია არ ხდება. მიწის კოდექსი და

- მიწის კადასტრი ქვეყანას არა აქვს. მიწის ეკონომიკური შეფასება (ფასის განსაზღვრის საფუძველი) სუბიექტურ მიდგომებს ეფუძვნება.
7. შეჩერებულია მიწის სავარგულების მეცნიერული შესწავლა. ამ მიზნით ადრე არსებული სამეცნიერო სტრუქტურები ლიკვიდირებულია ან უსტატუსო ჯგუფებად დაშლილი. სპეციალისტების მომზადება (ნიადაგმცოდნეების, აგროქიმიკოსების, მიწათმომწყოების და სხვ.) არ ხდება.

II ნაწილი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

2.1. მემცენარეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა

მიწის ფართობებისა და მისი სტრუქტურის ცვლილებების ფონზე მიზანშეწონილია განვიხილოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა, რათა ობიექტურად შეფასდეს განვლილ პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების ძირითადი ტენდენციები.

ცხრილიდან (23) ჩანს, რომ 1986-1990 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებლებთან შედარებით, 2012 წელს ყურძნის წარმოება შემცირდა 4,8-ჯერ, ხილისა – 3,8-ჯერ, ჩაის ფოთლისა – 193-ჯერ, ციტრუსებისა – 3,7-ჯერ. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის წარმოება, რაც მასზე საგარეო მოთხოვნების ზრდით იყო განპირობებული.

მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირება ადასტურებს იმას, რომ აგრარული სექტორის ეს მნიშვნელოვანი რესურსი ეფექტიანად არ არის გამოყენებული.

განვლილ პერიოდში, ასევე (24 ცხრილი) მნიშვნელოვნად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი. უმნიშვნელოდ გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობი. აღსანიშნავია, რომ ნათესი ფართობების შემცირებასთან ერთად, დაეცა ერთწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების დონეც (ცხრილი 25).

მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა) ყველა
კატეგორიის მეურნეობაში¹

	1986- 1990 ¹	1990 ²	1995	2000 ³	2002	2008 ⁴	2010	2011	2012	რამდენჯერ შემცირდა 1990 წლის მიმართ
ყურძენი	629,5	691	422,4	210	90	175,8	120,7	159,6	144	4,8 ჯერ
ხილი	645,3	591,2	383,9	250	172,6	157,6	124,1	187,3	157,9	3,8 ჯერ
ციტრუსი	259,8	283,1	118	40	33,1	52,2	52,1	54,9	77	3,7 ჯერ
ჩაის ფოთოლი	522,3	501,7	38,5	24	24	5,4	3,5	2,9	2,6	193 ჯერ
თხილი	-	-	-	-	-	18,7	28,8	31,1	24,7	-

1.1985-1990 წლების საშუალო წლიური. საქართველო ციფრებში 1990. თბილისი 1991. გვ.94.

2.1990-1995 წლები. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 1999. გვ.176.

3. 2000-2002 წლები. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2003. გვ.215.

4.2008-2012 წლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2012წ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა)

	1985 ¹	1990 ²	1995 ²	2000 ³	2002 ³	2008 ⁴	2010 ⁴	2012 ⁴	2012 წელი 1990 წლის მიმართ
ნათესი ფართობი სულ	730,1	701,9	453,1	610,8	579	329,3	256,7	259,6	შემცირდა 442,3 ათასი ჰა
მათ შორის მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	272,7	269,8	259,9	386,4	398,9	235,5	191,4	191,4	შემცირდა 78,4 ათასი ჰა
მათგან:									
ხორბალი		91,7	62,6	105,2	139,1	48,6	50	50	შემცირდა 41,7 ათასი ჰა
სიმინდი		107	142,4	219,6	200,9	146,2	108,6	114,8	გაიზარდა 7,8 ათასი ჰა
მარცვალ-პარკოსანი კულტურები		13,9	13,3	11,5	11,1	7,3	7,2	6,4	შემცირდა 7,5 ათასი ჰა
ტექნიკური კულტურები	39,1	33,1	41	69,8	43,5				
მათ შორის									
შაქრის ჭარხალი		1,4	0,9			-	-	-	-
თამბაქო		7,2	1,2	1,9	1	-	-	-	-
მზესუმზირა		13,3	36,2	65,7	41,2	-	-	-	-
სოია		7,6	1	1,6	1,3	-	-	-	-
ბოსტნეულ-ბაღჩეული		42,2	54,3	55,8	47,8	30,8	27,1	27,1	შემცირდა 15,1 ათასი ჰა
კარტოფილი		27,8	23,2	37,3	38,9	24	21,2	21	შემცირდა 6,8 ათასი ჰა
საკვები კულტურები	341,6	329	97,9	61,5	49,2	9,2	8,5	9,4	შემცირდა 31,6 ათასი ჰა
სხვა კულტურები						29,7	27,1	29,5	

1.საქართველო ციფრებში 1990 წელი გვ.96.

2.საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999წ. თბილისი გვ.173-175.

3.საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2003წ. თბილისი გვ.212-213.

4.სტატისტიკის ეროვნული სამსახური სოფლის მეურნეობა 2004 წელს.

ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

კულტურების დასახელება	1990 ¹	1995 ¹	2000 ²	2002 ²	2007 ³	2008 ³	2010 ³	2012 ³	2012 წელი 1990 წლის მიმართ
ხორბალი	257,7	76,6	89,4	197	74,9	80,3	48,4	80,7	შემცირდა 3,2 ჯერ
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	295,9	400,1	295,8	328,2	141,1	267	შემცირდა 1 ჯერ
ლობიო	7,3	14,8		10,7	10,5	11,6	5,8	9,6	გაიზარდა 2,3 ათასი ტონით
კარტოფილი	293,8	353,3	302	415,3	229	193,4	228,8	252	შემცირდა 41,8 ათასი ტონით
ბოსტნეული	443,2	428,3	354,2	405,6	190,3	165	175,7	198,5	შემცირდა 2,2 ჯერ
ბაღჩეული კულტურები	38,8	12,9	80	125,1	73,5	52,8	40,9	36,7	გაიზარდა 2,1 ათასი ტონით
მრავალწლიანი ბალახების თივა	128,2	61,6	32,4	86,1	8,8	30,2	25,9	32	შემცირდა 4 ჯერ
ერთწლიანი ბალახების თივა	185,2	70,4	19,1	48,8	20,5	5	11,2	5	შემცირდა 37,4 ჯერ

1.საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 1999. გვ. 176-177.

2.საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2003. გვ. 214-215.

3.სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წ.

ცხრილი 26
ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა (ცენტნერი 1 ჰა)

	1990 ¹	1995 ¹	2000 ²	2002 ²	2007 ³	2008	2010	2012	2012 წელი 1990 წლის მიმართ
მარცვლოვანი და მარცვლოვან პარკოსანი კულტურები	24,7	19,8	13,4	18,4	-	-	-	-	
ხორბალი (საშემოდგომო)	28,2	12,2	10,4	16,9	17	17	10	17	შემცირდა 11,2 ცენტნერით
სიმინდი	25,2	27,1	16,2	20,5	24	23	14	24	შემცირდა 1,2 ცენტნერით
მარცვლოვან პარკოსანი კულტურები	4,5	9,3	3,4	8	7	6	6	8	გაიზარდა 3,5 ცენტნერით
კარტოფილი	105,6	152	88,9	113,5	108	80	60	99	შემცირდა 6,6 ცენტნერით
ბოსტნეული	110,6	139,8	93,4	106,2	61	59	71	71	შემცირდა 39,6 ცენტნერით
ბალჩეული	105,3	60,5	97,6	186	132	136	152	135	გაიზარდა 29,7 ცენტნერით

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 1999. გვ.177.

2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2003.

გვ.215.

3. 2007-2012 წლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წ.

ცხრილი (26) გვიჩვენებს, რომ მეტად დაბალია მემცენარეობის პროდუქციის წარმოების (მოსავლიანობის) მაჩვენებლები. მაგალითად, 2012 წელს ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 17 ცენტნერი, ბოსტნეულის - 71 ცენტნერი, კარტოფილის - 99 ცენტნერი და სხვ..

2.2. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა

ცხრილი (27) გვიჩვენებს 1990-2012 წლებში მეცხოველეობის სულადობის დინამიკას. როგორც ჩანს, 1990-2012 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1,2-ჯერ შემცირდა. გაიზარდა ფურისა და კამეჩის სულადობა. 9,8-ჯერ შემცირდა (ეგზოგენური ფაქტორის გავლენით) ღორის სულადობა, 2,5-ჯერ ცხვრისა და თხის სულადობა, 3,4-ჯერ ფრინველის სულადობა¹. სულადობის შემცირებამ განაპირობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირება. მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში (ცხრილი 28) ხორცის (დაკლულ წონაში) წარმოება შემცირდა 4-ჯერ, რძის - 1,1-ჯერ, კვერცხის - 1,6-ჯერ², მატყლის - 3,8-ჯერ..

1. 2012 წელს დაეცა 92,1 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 46,4 ათასი სული ღორი, 43 ათასი ცხვარი და თხა, 3 მლნ 217 ათასი ფრთა ფრინველი.
2. 1990 წლისათვის ყველა კატეგორიის მეურნეობაში ფრინველთა რაოდენობა 24 მლნ. ფრთას შეადგენდა. ყოველწლიურად იწარმოებოდა 890,2 მლნ. ცალი კვერცხი და 37,5 ათასი ტონა ხორცი. სახელმწიფო სექტორში ფრინველთა რაოდენობა შეადგენდა 14 მლნ. ფრთას (58%). ყოველწლიურად იწარმოებოდა 670 მლნ. ცალი კვერცხი (75%) და 32 ათასი ტონა ხორცი. ფუნქციონირებდა 53 მეფრინველეობის ფაბრიკა და 13 სანაშენო მეურნეობა. 2012 წელს ქვეყანაში მოქმედებდა სხვადასხვა სიმძლავრის 18 ფერმერული მეურნეობა, სადაც ფრინველთა სულადობა 1,5 მლნ. ფრთა იყო. ამავე პერიოდში მთლიანად ქვეყანაში ფრინველის საერთო სულადობა შეადგენდა 6,2 მლნ. ფრთას.

პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის სულადობა
ყველა კატეგორიის მეურნეობაში (წლის ბოლოსთვის, ათასი სული)¹

	1990	1995	2000	2002	2007	2008	2010	2012	2012 წელი 1990 წლის მიმართ
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1298,3	973,6	1177,4	1216	1048,5	1045,5	1049,4	1128,8	1.15 ჯერ შემცირდა
მ.შ. ფური და კამეჩი	551,7	531,3	646,3	704,8	541	560,6	561,7	602,4	51 ათასი სულით გაიზარდა
ღორი	880,2	352,6	443,4	446,1	109,9	86,4	110,1	204,3	4,3 ჯერ შემცირდა
ცხვარი და თხა	1618,1	724,8	627,6	699,5	797,1	769,4	653,9	742,6	2.2 ჯერ შემცირდა
ფრინველი (მილიონი ფრთა)	21,8	13,8	7,8	8,9	6149,7	6682,3	6521,5	61259,1	3.5 ჯერ შემცირდა
ფუტკრის ოჯახი (ათასი სკა)	266 ²	177	-	-	183,8	206,77	311,5	347,5	1,3 ჯერ გაიზარდა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012წ.

2. თ. კუნჭულია. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. თბ. 1997. გვ. 72.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)

	1990 ¹	1995 ¹	2000 ²	2002 ²	2007 ³	2008 ³	2010 ³	2012 ³	2012 წელი 1990 წლის მიმართ
ხორცი (დაკლულ წონაში)	170,3	115,4	107,9	106,9	73	57,3	56,4	42,6	შემცირდა 4 ჯერ
რძე (მლნ ტონა)	659,4	475,4	618,9	742,1	624,8	645,8	587,7	589,5	შემცირდა 1,1 ჯერ
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	361,4	408,8	438,1	437,5	444,5	474	შემცირდა 1,6 ჯერ
მატყლი (ფიზიკურ წონაში)	6,2	3,1	2,8	2,7	2,2	1,9	1,7	1,6	შემცირდა 3,8 ჯერ
თაფლი	2,8	2,2	2,3	2,4	2,3	2,4	4,2	4,1	გაიზარდა 1,4 ჯერ

1.საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999წ. თბილისი გვ. 181.

2.საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2004წ. თბილისი გვ. 216.

3.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წელს.

2.3. კვების პროდუქტების მოხმარების დონე

ზემოთ მოცემული ანალიზის ფონზე განვიხილოთ სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის შედეგები როგორც აისახა ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის დონეზე. ცხრილში (29) მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის მოხმარების მაჩვენებლებმა. იგი განვლილი 22 წლის მანძილზე არსებითად გაუარესდა.

1990-2012 წლებში მკვეთრად შემცირდა ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე კვების პროდუქტების წარმოების მოცულობა (ცხრილი 30), რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონეზე. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება შემცირდა 1,4ჯერ, რძისა და რძის პროდუქტების – 2,25ჯერ, თევზისა – 2,3ჯერ, კვერცხისა – 1,4ჯერ, ბოსტნეულისა – 1,5ჯერ. თუ ამ მაჩვენებლებს მივუსადაგებთ რეკომენდებულ ნორმებს, სურათი უფრო მძიმე ხდება. 2012 წლის სურსათის მოხმარების დონე მკვეთრად ჩამორჩება ნორმატიულ მაჩვენებლებს. მაგალითად, ხორცისა და ხორცის პროდუქტებში იგი შეადგენს 46კგ-მს, რძესა და რძის პროდუქტებში – 212კგ, თევზის – 14,8კგ, კვერცხში – 142კგ, ბოსტნეულში – 80კგ. ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია ადგილზე წარმოებულსა და მოხმარების ნორმატიულ მაჩვენებლებს შორის. მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე ხორბლის წარმოებასა და მოხმარების ნორმებს შორის სხვაობა შეადგენს 112კგ. რძესა და რძის პროდუქტებში 219კგ, ბოსტნეულში – 91კგ, ხილში – 22კგ, ხორცსა და ხორცპროდუქტებში – 63კგ. აღსანიშნავია, რომ კვების რაციონში პურპროდუქტებზე მოდის 60%, მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტით იგი შეადგენს 12-15%-ს. ამასთან, დაბალია საქართველოში მიღებული სტანდარტი 2300კ/კალორია დღე-ღამეში, მაშინ როცა საერთაშორისო ნორმებით იგი გაცილებით უფრო მაღალია (2450კ/კალორია). ქვეყანაში სიღარიბის დონის მაჩვენებელი ხელოვნურად მცირდება. მაგალითად, იგი 2012 წელს ოფიციალურად შეადგენდა 9,7%. ქვეყნის სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთიან ბაზაში სულ 1632403 ადამიანი იყო რეგისტრირებული, რაც ქვეყნის მოსახლეობის 36,5%-ს შეადგენდა.

მოსახლეობის ერთ სულზე კვების
პროდუქტების მოხმარება (კგ)

პროდუქცია	1990 ¹	1995 ¹	2006 ²	2012 ²	რეკომენდებული ნორმა ³
პური და პურპროდუქტები	184,5	153,5	112	109	130
სიმინდი			29	22	-
ხორცი და ხორცის პროდუქტები	36,4	12,5	16,4	26	72
რძე და რძის პროდუქტები	311,3	97,9	162	138	350
თევზი და თევზეული	8	0,56	3,5	3,5	18,3
კვერცხი	140	66,1	60	99	182,5
კარტოფილი	37,3	26,7	44	52	62
ბოსტნეული	81,1	60,8	55	55	135

1. ნ. ჭითანავა გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი. 1997. გვ.339.
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. ი.არჩვაძე ი.არჩვაძე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის. თბილისი 2010 წელი. გვ.21-22.

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა (კგ)¹

	1990	1995	2000	2003	2008 ²	2010 ²	2011 ²	2012 ²	2012 წელი 1990 წლის მიმართ
მარცვლეული	122	109	91	169	107,8	90,9	49,7	84,4	1,45ჯერ შემცირდა
ხორბალი	47	16	19	51	18	12	22	18	2,6ჯერ შემცირდა
სიმინდი	49	81	64	106	75	32	60	59	10 კგ-ით გაიზარდა
კარტოფილი	54	74	66	96	44	51	61	56	2 კგ-ით გაიზარდა
ბოსტნეული	88	93	94	98	38	3	41	44	2ჯერ შემცირდა
ჩაის ფოთოლი ³	92	7,1	9,7	5,8	1,2	0,8	0,65	0,57	161ჯერ შემცირდა
ხილი ³	108	70,8	96	59,8	36	28	42	35	3ჯერ შემცირდა
ყურძენი ³	126,6	78	47	46	40	27	35	32	4ჯერ შემცირდა
ხორცი	31	24	24	20	13	13	11	9	3,5ჯერ შემცირდა
რძე (ლიტრი)	121	100	138	168	146	132	129	131	10 ლ-ით გაიზარდა
კვერცხი (ცალი)	141	57	80	97	100	100	107	106	1,3ჯერ შემცირდა
ციტრუსები	51,8	21,7			12,7	11,7	12,2	17,1	3ჯერ შემცირდა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2002 წ. გვ.14.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წ. გვ.16.

3. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ. საქართველოს სტატისტიკის წელიწადიური. 1999წ. (გვ. 29, 176). 2003წ. (გვ. 35, 215). 2004წ. (გვ. 33, 205).

2.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები

სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების ზემოთ მოცემული ანალიზი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს გარე ფაქტორები. სასურსათო ბაზარი არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე.

როგორც ცხრილიდან (31) ჩანს, 2012 წელს ექსპორტ-იმპორტის საღდო – 5,4 მლრდ დოლარია. სურსათში – 838 მლნ დოლარი. იმპორტით შემოტანილია ისეთი პროდუქციაც, რომლის წარმოების ხელსაყრელი პირობები ჩვენ თვითონ გვაქვს (ბოსტნეული, კარტოფილი, კვერცხი, ფრინველის ხორცი, ხილი და ა.შ.). ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტში ისეთი პროდუქციის მოცულობა, რომელსაც ტრადიციულად წამყვანი პოზიცია ჰქონდა (ღვინო, მინერალური წყლები, ხილი, ციტრუსები და სხვ.).

სასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი 2012წ¹

	ექსპორტი	ათასი ტონა	მლნ აშშ დოლარი
1	მთლიანი ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	-	2377,4
2	სურსათის ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	-	211,2
3	სურსათის წილი მთლიან ექსპორტში %	-	8,8
4	ხილი(ციტრუსის გარდა)	25,9	90,1
5	ბოსტნეული	8,3	5,9
6	ღვინო (მლნ ლიტრი)	20,2	64,9
7	სპირტიანი სასმელები (მლნ ლიტრი 100% სპირტი)	13,1	80
8	თხილი	-	130
9	უალკოჰოლო სასმელები (მლნ ლიტრი)	33	20,6
10	მინერალური წყლები (მლნ ლიტრი)	88,6	59,3
11	ლუდი (მლნ ლიტრი)	5,2	2,8

	იმპორტი	ათასი ტონა	მლნ აშშ დოლარი
1	მთლიანი იმპორტი		7842,1
2	სურსათის იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)		1050
3	სურსათის წილი მთლიან იმპორტში %		13,3
4	ხორბალი	897,6	240
5	შაქარი	163,7	84,6
6	ფრინველის ხორცი	44	70
7	ხორცი (ფრინველის გარდა)	19,8	51,3
8	ბრინჯი	8	5
9	თევზი (დაკონსერვებულის ჩათვლით)	20,9	44,3
10	კარაქი	1,8	8
11	კვერცხი	3,9	1,3
12	მცენარეული ზეთი	41,5	58,2
13	მარგარინი	18,4	28,5
14	ხილი	38,5	37
15	კარტოფილი	30,2	7,5
16	ბოსტნეული	86,8	43,4

1.სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.5. სასურსათო უსაფრთხოება

სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ზემოთ მოცემული მონაცემები ადასტურებენ იმას, რომ ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგად ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სოფლის მეურნეობაში წარმოების რეალური ზრდის პირობები. ბუნებრივია, დაისმება კითხვა, ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოხმარების თუნდაც მინიმალური დონის მიღწევაში როგორია შიდა ფაქტორების როლი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა პროდუქციის წარმოების, მოხმარებისა და იმპორტის მონაცემების შეჯერება-ანალიზი. ცხრილი (32) გვიჩვენებს ნათესი ფართობების მოსავლიანობის, მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების, იმპორტით შემოტანილი პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულებას.

ექსპერტთა გათვლით, საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 60% მეტი პურპროდუქტებზე მოდის, ხორცის – 3,5% არ აღემატება. მოსახლეობა ძირითადად პურით იკვებება. (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15% არ აღემატება). გაეროს მსოფლიო მოსახლეობის ორგანიზაციის მონაცემებით (2011წ.) საქართველოს მოსახლეობის 13% (600 ათას კაცს) დღეში შეეძლო დაეხარჯა მხოლოდ 1,25 დოლარი. მათი რიცხვი იმ პერიოდში შეადგენდა: სომხეთში 4%, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთში, მოლდავეთში – 2%. საქართველო სურსათის მოხმარების მაჩვენებლებით იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, სადაც დაფიქსირდა შიმშილობის საშუალო დონე.

ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული (გაეროს რეზოლუციის შესაბამისად (1974წ.) ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება თუ მოხმარებული პროდუქტის 20% მეტი იმპორტირებულია). საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 70-80%-ს¹.

1. საქართველო. ჩვენი ფასეულობანი. სოფლის მეურნეობა. თბ. 2013. გვ.43.

სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლები (2012 წ.)¹

ცხრილი 32

პროდუქციის დასახელება	ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	მოსავალი (ათასი ტონა)	საშუალო მოსავლიანობა (ტონა)	ერთსულზე წარმოება (კგ)	ერთ სულზე მოხმარება (კგ)	თევით უზუნველყოფა ადგილობრივი წარმოებით%	წლიური მოხმარების ნორმა(კგ) ²	იმპორტი	
								ათასი ტონა	აშშ დოლარი (მილიონი)
მარცვალი სულ	186,9	379,6	2,1						
მათ შორის									
ხორბალი	50	81	1,7	18	109	16,5	130	897,6	240
სიმინდი	114,8	267	2,4	59	22				
კარტოფილი	25,8	252	9,9	56	52	90,3	62	30,2	7,5
ბოსტნეული	23,8	199	7,1	44	55	32,8	135	86,8	43,4
ხილი		157,9		35	38	45,6	76,6	38,5	37
ხორცი		42,6		9	26	12,3	73	63,8	121,3
რძე		589,6		131	138	37,4	350	1,8 (კარაქი)	8
კვერცხი (მლნ. ცალი)		474		106 (ცალი)	99 (ცალი)	58	182,5	3,9(მლნ. ცალი)	1,3

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2. იარჩვადე, იარჩვადე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართული ლარსა და მანეთს შორის თბ.2000. გვ. 21-22

2.6. ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შედეგები

განვლილ პერიოდში სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის საწარმოებმა (ორგანიზაციებმა) ფაქტობრივად ფუნქციონირება შეწყვიტეს.

1990 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ჩაის 184 (700 ათ. ტონაზე გაანგარიშებით) ფაბრიკა, 44 საკონსერვო ქარხანა (100 ათას ტონის გადამუშავებით), 104 ღვინის პირველადი და მეორადი ქარხანა 600 ათასი ტონის გადამუშავებით, 28 მეურნეობა-ქარხანა, რომელიც ეთერზეთებს აწარმოებდა. ფუნქციონირებდა ლუდის 17, ხორცისა და ხორცპროდუქტების 29, რძის 40, უაღკოპლო სასმელების 17, საკონდიტრო ნაწარმის 4 ქარხანა, პურის ქარხნები აწარმოებდნენ 800 ათას ტონა პროდუქციას, კომბინირებული საკვების საწარმოები უშვებდნენ 1 მლნ ტონა პროდუქციას. ამ პერიოდში ფქვილის წარმოება 1 მლნ ტონას შეადგენდა¹

განვლილ პერიოდში კვების მრეწველობის საწარმოების უმრავლესობამ მუშაობა შეწყვიტა. მათი საწარმოო სიმძლავრეების დიდი ნაწილი (ძირითადად დანადგარ მოწყობილობები) ჯართის სახით საზღვარგარეთ გაიყიდა, არსებული შენობა-ნაგებობები დაიშალა, კვალიფიციური კადრები გაიფანტა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) წარმოების მკვეთრმა შემცირებამ კვების მრეწველობის სიმძლავრეებზე მოთხოვნის მყისიერი დაცემა გამოიწვია. ამჟამად კერძო ინიციატივაზე ფუნქციონირებადი მცირე სიმძლავრის ერთეული საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებაზე გადასვლას.

1990 წლამდე 460 ათას ჰა შეადგენდა სარწყავი მიწის ფართობი, საიდანაც რეალურად შესაძლებელი იყო 412 ათასი ჰა მორწყვა. ფაქტობრივად ირწყვებოდა 380 ათასამდე ჰა. განვლილ პერიოდში მოიშალა მელიორაციული სისტემა.

არასრული ინფორმაციით 2012 წელს მოირწყა 24 ათასი ჰა ფართობი.

მელიორაციასთან არის დაკავშირებული დაჭაობებული ნიადაგების პრობლემა. ათეული წლების მანძილზე შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებით 220 ათასი დაჭაობებული ნიადაგიდან 1990 წლისათვის დაშრობილი იყო 160 ათასი ჰა. აქედან 130 ათასი ჰა გამოიყენებოდა

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ამჟამად, არასრული ინფორმაციით, ათვისებული 30 ათასი ჰა განიცდის მეორად დაჭაობებას. ასევე, ექსპერტთა აზრით, შეინიშნება გარეკახეთში გაუდაბნოების პროცესი.

აგრარული სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურება 1991 წლამდე ცენტრალიზებული იყო “საქსოფლტექნიკაში”. სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 28,8 ათასი ტრაქტორი, 18 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, 9 ათასამდე სატრაქტორო მისაბმელი, 1,4 ათასი კომბაინი, 1,5 ათასამდე საკვები კულტურების ასაღები კომბაინი, 4 ათასზე მეტი სატრაქტორო კულტივატორი, 4 ათასამდე შემასხურებელი და გამრფქვევი ტექნიკა. სულ 200-მდე მარკისა და დასახელებისა.¹

1991-2012 წლებში “საქსოფლტექნიკის” და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანების, ტრაქტორების პარკი, ინფრასტრუქტურა მოიშალა, გაიძარცვა, გასხვისდა (ძირითადად ჯართის სახით), ნაწილი კი ფიზიკურად და მორალურად გაცვდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება დღეს ფაქტობრივად ეფუძნება ხელით შრომას, ცოცხალ გამწვევ ძალას. ეს დასტურდება საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებით. 2004 წელს 730 ათასი მეურნეობიდან სხვადასხვა სახის ტრაქტორი გამოიყენა მხოლოდ 52,3%, ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი) 7,4%, კომბაინი 10,8%, სატვირთო ავტომობილი 23,8%, სხვა ტიპის ავტომობილი - 10,4%.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში 1990 წლამდე პერიოდში გამოშვებული ტრაქტორების რაოდენობა შეადგენდა 9843 ერთეულს (65,2%), რომლის ნარჩენი რესურსი, ექსპერტთა აზრით, არ აღემატებოდა 20-25%.

უკანასკნელ წლებში გატარებული ზომების მუხედევად, სოფლის მეურნეობის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების დონე უკიდურესად დაბალია, რაც ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

1. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. თბ. 1999. გვ. 483.

2.7. შრომითი რესურსების გამოყენების დონე

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, აფერხებს დარგის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. 1990-2012 წლებში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი შემცირდა 16ჯერ, ხოლო სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა - 364,3 ათასი კაცით. შემცირება ყველა რეგიონში მიმდინარეობს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საქართველოს მთის ზონაში. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში სოფლის მოსახლეობა 2012 წელს, 1990 წელთან შედარებით, შემცირდა 23,5%. მათ შორის ონში 35%, ამბროლაურში - 27,4%. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში ნასახლარიანი 162 სოფელი აღირიცხა. გარდა ამისა, 152 სოფელში ცხოვრობდა (საშუალოდ) 10 კაცზე ნაკლები. 905 სოფელში (ანუ 25%-ში) 100 კაცამდე ცხოვრობს, ზოგიერთ სოფელში მხოლოდ 2-3 მოსახლეა დარჩენილი. პირიქითა ხევისურეთის სოფელ ახიელში 1886 წელს 240 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად ცხოვრობს 6 კაცი. საქართველოში 1990-2013 წლებში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი 55,5%-ით გაიზარდა და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს 75%-ით აღემატება. იგი განსაკუთრებით მაღალია რაჭაში, სადაც 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ 2002 წელს შეადგენდა 29%, მაშინ როცა შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა 16%-ს, ხოლო შრომისუნარიანი ასაკისა - 55%-ს არ აღემატებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური სპეციალისტებით.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შეიცვალა. თუ 2004 წელს 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი სოფლის მოსახლეობაში შეადგენდა 21,5%-ს, 2009 წელს 18,2%-მდე შემცირდა. 2012 წელს სოფლის 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან დაქირავებულ შრომას ეწეოდა 8,4 ათასით ნაკლები, ვიდრე 1998 წელს. ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 106,1 ათასი კაცით. უმუშევრობის დონე 3,8%-დან გაიზარდა 7%-მდე. ეს მაჩვენებლები რეალურ მდგომარეობას არ ასახავენ (უმუშევრობის განსაზღვრის ამჟამინდელი მეთოდოლოგია, ექსპერტთა აზრით, სრულყოფას საჭიროებს).

სოფლის მეურნეობაში დაბალია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი. მაგალითად, 2009 წელს ეს მაჩვენებელი ქვეყანაში საშუალოდ ერთ დასაქმებულზე შეადგენდა 10,8 ათას ლარს, სოფლის მეურნეობაში შეადგინა 1,4 ათასი ლარი, ხოლო მეურნეობის სხვა დარგებში 27 ათასი. თუ 1998 წელს სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა შეადგენდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის 45%-ს, 2009 წელს შეადგინა 13%. სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების ნორმატიული სიდიდე 450-500 ათას კაცს შეადგენს. ფაქტობრივად კი 1712 ათასი კაცია, ე.ი. ერთ ჰექტარ ინტენსიურ სავარგულზე საშუალოდ 1,5 წლიური მუშაკი მოდის, მაშინ როცა ნორმატიული კოეფიციენტი 0,4-0,45 შეადგენს¹.

1. საქართველო. ჩვენი ფასეულობები. სოფლის მეურნეობა. თბ. 2012 წ. გვ.322.

2.8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

განვლილ პერიოდში მოიშალა მეთესლეობის, სარგავი მასალის წარმოების, სანაშენო საქმის ორგანიზაციის საფუძვლები. სამეცნიერო დაწესებულებები გაუქმდა ან გარდაიქმნა უსტატუსო ჯგუფებად. ფაქტობრივად, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არ ტარდება. სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მიწის ფართობები, შენობები, ტექნოლოგიური მოწყობილობები) გაიყიდა. ფაქტობრივად შეწყდა აგრარული სექტორისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

2.9. ფინანსური დახმარება

ტრანსფორმაციული პროცესების მთელ მანძილზე სოფლის მეურნეობა განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას. უფრო სწორად, მას განვითარებისათვის იგი მინიმალურ დონეზეც არ ჰქონდა. 1990-2012 წლებში საბანკო სესხებში სოფლის მეურნეობის წილი 2%-მდე იყო. ფაქტობრივად სოფლის მეურნეობა დაკრედიტების მიღმა დარჩა. გარდა ამისა, მაღალი იყო საპროცენტო განაკვეთები. 2010 წელს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან საბანკო კრედიტებზე 25%-ს შეადგენდა,

გრძელვადიანზე – 22,8%-ს. მაქსიმალური განაკვეთი საბანკო სექტორში 36%-ს აღწევდა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში – 48%-ს, რაც 3,5-ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულს. განვლილ პერიოდში ასევე უმნიშვნელო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილიც. მაგალითად, მან შეადგინა 2000 წელს 0,4%, 2003 წელს 0,03%, 2007 წელს 0,8%, 2008 წელს – 0,5%, 2010 წელს – 1%, 2011 წელს – 1,3%, 2012 წელს – 1,7%.

დასკვნები

1. სოფლის მეურნეობის განვითარების მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლები მოშლილია. განვლილ პერიოდში გაჩანაგდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოფელს სტატუსი არა აქვს. დაქვეითდა გლეხის ეკონომიკური მოტივაცია. შიდა ბაზარი დაცული არ არის სასურსათო ინტერვენციისაგან. სოფლის მეურნეობა კვლავწარმოების შეკვეცილი ფორმით ფუნქციონირებს. წარმოების ყველა ფაქტორი (შრომა, მიწა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი) დეფორმირებულია.
2. მიწის ფართობებისა და მისი სტრუქტურის ნეგატიური ცვლილებების ფონზე მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. კერძოდ, შემცირდა: ყურძნის წარმოება 4,8ჯერ, ხილის – 3,8ჯერ, ჩაის ფოთლის – 193ჯერ, ციტრუსების – 3,7ჯერ, ხორბლის – 3,2ჯერ, ბოსტნეულის – 2,2ჯერ, მრავალწლიანი ბალახების თივის – 4ჯერ, ერთლწლიანი ბალახების თივის – 37,4ჯერ. დაბალია საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა (2012 წელს ხორბალი – 17 ცენტნერი, სიმინდი – 24 ცენტნერი, კარტოფილი – 99 ცენტნერი, ბოსტნეული – 71 ცენტნერი). გაიზარდა თხილის წარმოება. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება შემცირდა: ხორცის 4ჯერ, რძის 1,1ჯერ, კვერცხის 1,6ჯერ, მატყლის 3,8ჯერ. დაბალია პროდუქტიულობა. 2012 წელს ერთ ფურზე საშუალოდ მიღებულია 1256 კგ რძე. გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის დაცემის მაჩვენებელი. გაიზარდა თაფლის წარმოება. უკიდურესად დაბალ დონეზეა ვეტერინარული მომსახურება. გაჩანაგდა მეცხოველეობის საკვები ბაზა.
3. მემცენარეობასა და მეცხოველეობაში წარმოების დონის დაცემა ძირითადად განაპირობა სოფლის მეურნეობი განვითარების სტიქიურმა ხასიათმა. სახელმწიფომ ფორმირებად საბაზრო მექანიზმებს მიანდო ტრანსფორმაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების რეგულირება. მიწების დაქუცმაცებამ გამოიწვია მექანიზაციის საშუალებების

გამოყენებაში შეზღუდვები. გაუარესდა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. გართულდა პროდუქციის რეალიზაცია. განადგურდა მეთესლეობის, სანერგე და სანაშენე მეურნეობები. გაიჩეხა მრავალწლიანი ნარგავები. გადამამუშავებელი საწარმოების დიდი ნაწილი (ძირითადად დანადგარ-მოწყობილობანი) ჯართის სახით უცხოეთში გაიყიდა. კვალიფიციური კადრები გაიფანტა. მკვეთრად შემცირდა სარწყავი ფართობები. მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია მოიშალა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება კონცენტრირებულია წვრილ ოჯახურ მეურნეობებში (2012 წელს ოჯახურ მეურნეობებში იწარმოებოდა ხორბლის 94%, სიმინდის 98%, კარტოფილი – 99%, ხილის – 99,7%, ყურძნის 91,5%, ციტრუსები – 99,9%, რძის 99,5%, ხორცის 85,1%, კვერცხის – 39%, ჩაის ფოთლის – 57,7%).

4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაცემამ გამოიწვია კვების პროდუქტების მოხმარების დონის შემცირება. კერძოდ 1990-2012 წლებში კვების პროდუქტების მოხმარება შემცირდა: ხორცის და ხორცის პროდუქტებისა – 1,4ჯერ, რძისა და რძის პროდუქტებისა – 2,25ჯერ, თევზისა – 2,3ჯერ, კვერცხისა – 1,4ჯერ, ბოსტნეულისა – 1,5ჯერ.

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში განმსაზღვრელია იმპორტი. 2012 წელს სასურსათო პროდუქტების მიხედვით ექსპორტ-იმპორტის საღდომ შეადგინა -858მლნ. აშშ დოლარი. დიდი მოცულობით შემოდის ისეთი პროდუქცია, რომლის წარმოების ხელსაყრელი პირობები ქვეყანას გააჩნია.

5. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო პროდუქტის 75-80% იმპორტირებულია. საქართველო სურსათის მოხმარების მაჩვენებლებით იმ ქვეყნებს შორისაა სდაც დაფიქსირდა შიმშილობის საშუალო დონე. უკიდურესად დაბალია მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი.

III ნაწილი

რეკომენდაციები

(სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების გაუმჯობესების ღონისძიებები)

3.1. მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება

1. სახელმწიფომ და საზოგადოებამ სისტემატური ყურადღება უნდა დაუთმონ მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. სახელმწიფო მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მიწის რესურსების დაცვაზე. მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებების გარეშე უნდა აიკრძალოს მიწების კატეგორიების შეცვლა. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწების აუცილებელი მარაგი. უცხოელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს უნდა აიკრძალოს მიწის მიყიდვა. მათ შეიძლება მიწები გადაეცეთ მხოლოდ საარენდო ურთიერთობათა საფუძველზე. ამ მოთხოვნათა შესაბამისად უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა.
2. გრძელვადიან პერიოდზე გათვლით, მიზნობრივი პროგრამებით და რეგიონების თავისებურებების მიხედვით უნდა განხორციელდეს მიწის სავარგულების (საკუთრების ფორმების მიუხედავად) დაცვისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი. მხედველობაში გვაქვს ეროზირებული, ბიცობი, დამლაშებული, დაჭაობებული, მეწყერსაშიში და სხვა სახის მიწების ნაყოფიერების ამაღლება. ამ მიზნით უნდა დამუშავდეს 15-20 წელზე გათვლილი მიწების დაცვისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების სახელმწიფო კომპლექსური პროგრამა.
3. აუცილებელია დამუშავდეს მიწის კოდექსი და კადასტრი. იგი უნდა მოიცავდეს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მიწის ფონდს

(საკუთრების ფორმის მიუხედავად). კადასტრი, რომელიც მოიცავს მონაცემებს მიწების ბუნებრივ, სამართლებრივ და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, უნდა დაედოს საფუძვლად თანამედროვე პირობებში საადგილ-მამულო ურთიერთობების რეგულირებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკას, მიწის რესურსების დაცვას, მიწათმოწყობას და მიწის გამოყენების მონიტორინგს, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მიწის ბაზრის განვითარებას, მიწის მესაკუთრეთა, მფლობელთა, მოსარგებლეთა უფლებების დაცვას, იპოთეკური სისტემის ფუნქციონირებას და ა.შ. კადასტრი, საბაზრო ურთიერთობათა ახალი გამოწვევების შესაბამისად, უნდა ეყრდნობოდეს ერთიან მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ-მმართველობით ბაზას. მისი შედგენისას გამოყენებული უნდა იქნას კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნიკა, აეროფოტო და აეროკოსმოსური გადაღებები და სხვ. გასათვალისწინებელია, რომ მიწის კადასტრი ხელს უწყობს მიწის ბაზრის სწორად ფორმირებას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას.

4. ქვეყანაში უნდა ჩატარდეს მიწის ინვენტარიზაცია, შეიქმნას მიწის რესურსების მონაცემების ბანკი. სავარგულების რაციონალურად გამოყენების მიზნით აუცილებელია ქვეყნის ნიადაგების მრავალფეროვნების გათვალისწინება, ზონებისა და მიკროზონების გამოყოფა და ლოკალური უნიკალური ფართობების შესწავლა მათი შემდგომში მიზნობრივად გამოყენებისათვის. თითოეული რეგიონის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს მიწათმოწყობის სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება, ასევე ახალი რესურსების მოძიება, სპეციალიზაციის გაღრმავება, სხვა დარგებთან (მრეწველობა, ტურიზმი და სხვ.) ურთიერთკავშირების გაძლიერება, საერთოდ შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება.
5. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის სავარგულების მეცნიერული შესწავლა უკანასკნელ წლებში ფაქტობრივად შეჩერებულია, ხოლო ამ მიზნით ადრე არსებული სამეცნიერო სტრუქტურები –

ლიკვიდირებული, აუცილებელია მიწის სავარგულების (ნიადაგის) შემსწავლელი ძლიერი სამეცნიერო ცენტრის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერულ მომსახურებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა მიწების სრულყოფილი კლასიფიკაცია, მიწების ბონიტირება, შედარებითი და ეკონომიკური შეფასება, კატეგორიების განსაზღვრა. უნდა განახლდეს ნიადაგმცოდნეების, აგროქიმიკოსების, მიწათმომწვობებისა და სხვა სპეციალისტების მომზადება აგრარულ უნივერსიტეტში. უნდა შეიქმნას ნიადაგმცოდნეებისა და საერთოდ მიწის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალისტების ასოციაცია (სახოგადოება, კავშირი), რომელიც ხელს შეუწყობს მიწის სავარგულების რაციონალურად გამოყენებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები უნდა დაედოს საფუძვლად გადაწყვეტილებებს მიწის რესურსების გამოყენებაში, პროგნოზირებას, პროგრამირებას, კრიტერიუმების განსაზღვრას და ა.შ. მიწის ეკონომიკური შეფასება კომპლექსური ფაქტორების მოქმედებასთან არის დაკავშირებული, რაც მოითხოვს ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნას.

6. მიწის სავარგულების რაციონალურად გამოყენებისა და მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურა. იგი შეიძლება იყოს მიწის მართვის კომიტეტი, სააგენტო, დეპარტამენტი ან სხვა ორგანიზაციული ფორმით წარმოდგენილი. ასევე რეგიონებში უნდა იყოს შესაბამისი სამსახურები. პრობლემის სიმწვავისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით მიწის მართვის (რეგულირების) სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს ავტონომიურად და უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ან პარლამენტს.
7. მიწის პრივატიზაციის შედეგად, მწვავედ დგას მიწის კონსოლიდაციის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამიტომ იგი სისტემურ მიდგომას მოითხოვს. კოოპერაციის განვითარებასთან ერთად,

მიზანშეწონილია სხვა, ალტერნატიული ფორმების გამოყენება. მაგალითად, შეიქმნას სახელმწიფო მიწის ფონდი, რომელიც ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით მოახდენს მიწის გასხვისებას ან საარენდო ურთიერთობების საფუძველზე გაცემას.

3.2. ერთწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება

როგორც ნახვენები იყო, ამჟამად საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. ძირითადი პროდუქტების წარმოების დონე უკიდურესად დაბალია, შესაბამისად მოხმარებაც (იგი ძირითადად იმპორტითაა გაჯერებული).

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი წარმოებით სურსათის არც ერთ სახეობაზე მოსახლეობის მოთხოვნილება არ კმაყოფილდება. ეს აიხსნება (როგორც აღინიშნა) ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის ნეგატიური შედეგებით.

იმისთვის, რომ დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის განვითარება (უპირველეს ყოვლისა კრიზისიდან გამოვიდეს) მიზანშეწონილია სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრა და მის შესაბამისად ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება.

ქვეყნისათვის პირველი რიგის სტრატეგიული ამოცანაა მარცვლეულის (კერძოდ ხორბლის) წარმოების გადიდება, რათა მნიშვნელოვანწილად მოიხსნას იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი რისკი. მარცვლეულის წარმოებას გარკვეულწილად ზღუდავს მცირე მიწიანობა, ვერტიკალური ზონალობა, მიწების დაქუცმაცება და სხვ. ამას მიემატა ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის, მატერიალური, ორგანიზაციული და მეცნიერული საფუძვლების მოშლა. წლების მანძილზე მიწის ფართობების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა და უკიდურესად დაბალია საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. ასეთ პირობებში საკამათო არ არის, რომ მარცვლეულის (კერძოდ ხორბლის) წარმოების გაფართოების საკითხი აქტუალური იყოს.

ამ პრობლემის მიმართ სამი მიდგომა გამოიკვეთა. ექსპერტთა ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ ქვეყანამ ყველა რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს მარცვლეულის წარმოების იმ დონეზე განვითარება, რომ პურსა და პურპროდუქტებზე მოთხოვნილება (დაახლოებით 700 ათასი ტონა ხორბალი) დაკმაყოფილდეს. გამოითქვა მოსაზრება, რომ, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკა ინტეგრაციულ პროცესშია ჩართული, უმჯობესია უფრო იაფად წარმოებული პროდუქციის შემოტანა, ვიდრე ძვირადღირებული (ამიტომ არაკონკურენტუნარიანი) პროდუქციის წარმოება.

მესამე მიდგომის მიხედვით არარეალურია დაისვას საკუთარი წარმოებით მარცვლეულზე (ხორბალზე) მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა. მაგრამ არც ისაა სწორი, რომ უარი ვთქვათ მარცვლის წარმოებაზე და ამ კულტურისათვის არსებული ფართობები გამოვიყენოთ სხვა, უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის.

ჩვენი აზრით ეს მიდგომა უფრო რაციონალურია.

საქართველოში მიწის სავარგულების თავისებურებების გათვალისწინებით (ნიადაგის ტიპების მრავალფეროვნება, რეგიონების ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებები, ტრადიციები და სხვ.) საჭიროა რაციონალურად გაადგილდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მეცხოველეობის დარგები. მარცვლეულის წარმოების პერსპექტივის განსაზღვრისას ამოსავალ საწყისად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ მემცენარეობის, არამედ მეცხოველეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

2012 წელს საქართველოში წარმოებული იყო 370 ათასი ტონა მარცვალი (მათ შორის ხორბალი 80,7 ათასი ტონა). ხორბალი დაითესა 50 ათას ჰექტარზე. ხორბლის წარმოება ძირითადად თავმოყრილია ოჯახურ მეურნეობებში (94%). საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 17 ცენტნერი. როგორი რეზერვები აქვს ქვეყანას მარცვლის (ხორბლის) წარმოების გადიდებისათვის?

2017 წლისათვის მიზანშეწონილია ხორბალი დაითესოს 80 ათას ჰექტარზე, საიდანაც რეალურია მიღებულ იქნას 200 ათასი ტონა მარცვალი

(საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 25 ცენტნერი). ამ შემთხვევაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოება გაიზარდა 2012 წლის 18 კგ-დან 44 კგ-მდე (2,5-ჯერ). 2020 წლისათვის ნათესი ფართობი გაიზარდა 110 ათას ჰექტრამდე. ამასთან მოსავლიანობის ზრდით (მაღალი ხარისხის თესლის გამოყენება, ნიადაგის აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად დამუშავება, მორწყვა და სხვ. ჰექტარზე მინიმუმ 3-3,5 ტონის მიღების საშუალებას იძლევა) შესაძლებელია 330-385 ათასი ტონა ხორბლის წარმოება. მოსახლეობის ერთ სულზე წარმოება მიაღწევს 84 კგ (2012 წელთან შედარებით 4,6-ჯერ გაიზარდა).

შემდგომ პერიოდში ნათესი ფართობების შენარჩუნებით (შესაბამისი ღონისძიებების (კერძოდ, მიწის ნაყოფიერების ამაღლების, თესლის ხარისხის გაუმჯობესების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და სხვ.) განხორციელებით რეალურად უნდა მივიჩნიოთ საშუალო მოსავლიანობის 4 ტონამდე აყვანა.

ამრიგად, 2020 წლისათვის ხორბლის ნავარაუდები მოსავალი პურსა და პურ-პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს 64,6%-ით (2012 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 14%-ს).

სიმინდის მარცვლის წარმოების ხელსაყრელი პირობები არსებობს . 2017 წლისათვის სიმინდის ფართობი მიზანშეწონილია გაიზარდოს 180 ათას ჰექტრამდე (2012 წელს იყო 115 ათასი ჰა. მიღებულ იქნა 267 ათასი ტონა მარცვალი). მოსავალი მიაღწევს 630 ათას ტონას (ჰექტარზე საშუალოდ 3,5 ტონა).

2020 წლისათვის სიმინდის ფართობის 230 ათას ჰექტრამდე გადიდება რეალური ამოცანაა (დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კოლხეთის აღრე დაშრობილი მიწების ბაზაზე). საშუალო მოსავლიანობის პირობებში (4 ტონა ჰექტარზე) აღნიშნულ ფართობზე მოსალოდნელია მიღებულ იქნას 900 ათასი ტონა მარცვალი.

ქერის და შვრიის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად არ გაიზარდა. 2017 წლისათვის დაითესება 70 ათასი ჰა. სავარაუდო მოსავალი

140 ათასი ტონა. 2020 წლისათვის ფართობი არ შეიცვლება. წარმოება გაიზრდება 200 ათას ტონამდე.

ამრიგად, 2020 წლისათვის მარცვლეული დაითესება 410 ათასი ჰა. მარცვლის წარმოება მიაღწევს 1485 ათას ტონას.

ქვეყნის სასურსათო პროდუქტებში ლობიოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ყოველწლიურად (საშუალოდ) იწარმოება 10 ათას ტონამდე ლობიო. მომავალშიც ეს ტენდენცია დარჩება.

2020 წლისათვის მზესუმზირის მოსავალი შესაძლებელია გაიზარდოს 35-40 ათას ტონამდე (მას დაეთმობა 30 ათას ჰექტრამდე მიწის ფართობი).

წიწიბურას ნათესი ფართობი მიაღწევს 3 ათას ჰექტარს (ნავარაუდევია, საშუალოდ 10 ცენტნერი მოსავლის მიღება).

სოიოს წარმოების ხელსაყრელ პირობებს მინიმალურადაც ვერ ვიყენებთ. 2020 წლისათვის ნავარაუდევია 5 ათას ჰექტარზე სოიოს დათესვა, საიდანაც დაახლოებით 5-6 ათასი ტონა მოსავლის მიღება არის შესაძლებელი.

ჩვენ გაანგარიშებებში ყურადღების გამახვილება ექსტენსიურ განვითარებაზე გამოწვეულია ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობით (წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში შეზღუდვები, დაბალი კვალიფიკაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და სხვ.). უნდა ვივარაუდოთ, რომ 2020 წლიდან თვისებრივად შეიცვლება ინტენსიური განვითარების პირობები.

**ბოსტნეულის, ბაღჩეულის და კარტოფილის წარმოების
მაჩვენებლები (2012-2020 წლები)**

ცხრილი 33

	ბოსტნეული				ბაღჩეული				კარტოფილი			
	2012 ¹	2017 ²	2020 ²	2020 2012წ. მიმართ	2012	2017	2020	2020 2012წ. მიმართ	2012	2017	2020	2020 2012წ. მიმართ
ფართობი (ათასი ჰა)	23,8	28	30	+67	3,3	3,3	3,0	-0,3	25,8	25	25	-0,8
საკექტარო მოსავ- ლიანობა (ც)	71	120	150	+79	110	150	200	+90	100	150	180	+80
მოსავალი (ათასი ტ)	199	336	450	+251	36,7	50	60	+23,3	252	375	450	+198
მოსახლ. ერთ სულზე წარმოება (კგ)	44,3	74,6	98	+53,7	7,5	11,1	13,0	+1,9	56	83,3	98	+42

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
2. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

ბოსტნეულის ნათესი ფართობი 2017 წლისათვის მიზანშეწონილია გაიზარდოს 28 ათას ჰექტარამდე. 2020 წლისათვის ფართობი მიაღწევს 30 ათას ჰექტარს. თესლის ხარისხის, ნათესი ფართობების დამუშავების და რწყვის ორგანიზაციის გაუმჯობესებით საექტარო მოსავლიანობა 2020 წლისათვის ნავარაუდევია 15 ტონის დონეზე. ასევე შესაძლებელია 1,6ჯერ გაიზარდოს ბაღჩეულის წარმოება. ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის აუცილებელია 1000 ჰექტარზე მაინც ახალი სათბურების აშენება. ეს ხელს შეუწყობს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ბოსტნეულის გარედან შემოტანის შემცირებას და შესაბამისად გაზრდის საექსპორტო პოტენციალს.

კარტოფილის წარმოების ზრდა მოსალოდნელია საადრეო კარტოფილის წარმოების გაფართოებით (მხედველობაში გვაქვს რუსეთის ბაზარზე მოთხოვნის ზრდა). საადრეო კარტოფილის წარმოების ხელსაყრელი პირობები გააჩნია მარნეულისა და ბოლნისის რაიონებს.

2017 წლისათვის კარტოფილზე მოთხოვნილება შესაძლებელია დაკმაყოფილდეს საკუთარი წარმოებით.

3.3. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება

მეცხოველეობის განვითარება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: საკვები ბაზის შექმნაზე, ჯიშობრივი შემადგენლობის სრულყოფაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა მიზანშეწონილია 1300 ათასი სულით განისაზღვროს (შემდგომში მისი ოპტიმიზაციის გათვალისწინებით). მათ შორის ფურების სულადობა (600 ათასი) დარჩება 2012 წლის დონეზე. ორიენტაცია უნდა ავიღოთ პროდუქტიულობის ზრდაზე. 2020 წლისათვის ფურზე 2 ტონა რძის მიღებით, რძის წარმოება მიაღწევს 1,2 მლნ. ტონას, რაც 2ჯერ მეტია 2012 წლის დონეზე (ცხრილი 34).

კვლავაც მძიმე მდგომარეობა დარჩება ხორცის წარმოებაში. 2012 წელთან შედარებით თითქმის 2,5ჯერ ზრდისა, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული იქნება 23 კგ ხორცი, რაც ნორმატიულის მხოლოდ 32%-ს შეადგენს. 2020 წლისათვის ღორის სულადობა მიაღწევს 600 ათას სულს (2012 წელს იყო 204,3 ათასი), ცხვრისა და თხისა – 1 მლნ. სულს (2012 წელს იყო 742,6 ათასი), ფრინველისა 13 მლნ. ფრთას (2012 წლის 6,1 მლნ. ფრთის ნაცვლად) (ცხრილი 35).

საკვები ბაზის შექმნის საკითხი ახლებურად გააზრებას მოითხოვს (მიწის პრივატიზაციის შედეგად რიგი ცვლილებები შევიდა სავარგულების სტრუქტურაში). რამდენიმე მიმართულებით უნდა წარიმართოს საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. კერძოდ, სახნავი მიწების სრული ათვისება, გასარწყავების სტრუქტურის სრულყოფა, მრავალწლიანი ბალახების ხვედრითი წილის გადიდება 25-30%-მდე. შუალედური, სანაწვევრადლო კულტურების გამოყენება, ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალური გამოყენება, საზაფხულო და ზამთრის საძოვრების ათვისებაში კოოპერაციის ფორმების გამოყენება და სხვ.

ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიხედვით ეტაპობრივად გადაწყდება ცალკეული მიმართულებებით სანაშენო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. იქ, სადაც მეცხოველეობის ინტენსიური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია, უნდა შემოვიყვანოთ ძროხის მაღალპროდუქტიული ჯიშების უშობლები (სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებენ შვიცისა და სიმენტალის ჯიშებს).

მეცხვარეობისა და მეთხეობის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შეიქმნას თუშური და იმერული ცხვრის და მეგრული თხის თითო სანაშენო ფერმა.

მეღორეობის სანაშენო ზონებში უნდა აღდგეს სანაშენო ფერმები, რომლებიც გამოზრდიან მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვს.

მეფრინველეობაში აუცილებელია სანაშენე ფერმების შექმნა, ისინი ფერმერულ მეურნეობებს, კოოპერატივებს, ოჯახურ მეურნეობებს მიაწვდიან მაღალხარისხოვან სანაშენე მასალას.

ქვეყანაში განვითარებული იყო მებოცვრეობა. ფუნქციონირებდა მსხვილი მეურნეობები. მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განადგურდა. პერსპექტივაში მიზანშეწონილია ბოცვრების მოშენება ოჯახურ მეურნეობებში. ექსპერტული გათვლებით, ბოცვრის სულადობა 2020 წლისათვის შესაძლებელია გაიზარდოს 150-200 ათას სულამდე.

შემოთავაზებულ ღონისძიებეთა განხორციელება უზრუნველყოფს 2020 წლისათვის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას (ცხრილი 34).

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება¹

(2012-2020)

ცხრილი 34

		2012	2017 ³	2020 ³
1.	ხორცის წარმოება (ათასი ტონა)	42,6	70	106
	მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	16,2	33	35
	ცხვრის და თხის	2,5	4	6
	ღორის	11,8	16	32
	ფრინველის	11,7	17	32
	სხვა ხორცი	0,4	0,8	1,0
2.	რძე (ათასი ტონა) ²	600	900	1200
		1256	1500	2000
3.	კვერცხი	474	600	900

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
2. მნიშვნელში ერთი ფურის საშუალო წველადობა.
3. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

მეცხოველეობის სულადობა¹

(2012-2020)

ცხრილი 35

	2012	2017	2020
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	1128	1200	1300
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი (ათასი სული)	600	600	600
ღორი (ათასი სული)	204,3	300	600
ცხვარი და თხა (ათასი სული)	742,6	850	1000
ფრინველი (მლნ. ფრთა)	6,1	12	13

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
2. მნიშვნელში ერთი ფურის საშუალო წველადობა.
3. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

ქვეყანას თევზის წარმოების ხელსაყრელი პირობები აქვს, მაგრამ მინიმალურად იყენებს მათ. საოკეანო თევზჭერა შეწყდა. სანაშენო მუშაობა შეჩერებულია. შიდა ბაზარი შემოტანილი თევზით არის გაჯერებული (საშუალოდ წლიურად ქვეყანაში შემოაქვთ 20 ათასი ტონა თევზი). ეკონომიკურად მიზანშეწონილია საოკეანო (საზღვაო) თევზჭერის აღდგენა, სატბორე მეურნეობების შექმნა, სანაშენო საქმის ორგანიზაცია. ექსპერტული გათვლებით, 2020 წლამდე პერიოდისათვის შესაძლებელია 15-20 ათასი ტონა (საშუალოდ წლიურად) თევზის წარმოება.

მეფუტკრეობა ტრადიციული დარგია. მას განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. საჭიროა ქართული ფუტკრის ცალკეული პოპულაციების დაცვისათვის შეიქმნას იზოლირებული კერები, გადამამუშავებელი საწარმოები, მოეწიოს საფუტკრე ინვენტარის წარმოება. უნდა გაუმჯობესდეს თაფლოვანი ფლორა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალისტების მომზადებას. რესურსული პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ფუტკრის ოჯახი (სკა) 2020 წლისათვის გაიზარდოს 500 ათას სკამდე (2012 წელს იყო 374 ათასი), ხოლო თაფლის წარმოება 6-7 ათას ტონამდე.

ვეტერინარია

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაღალი დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაციაზე. ვეტერინარული მომსახურების დონე უკიდურესად დაბალია. ქვეყანა ეპიზოტიური რისკის ზონას წარმოადგენს. ვეტერინარული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა სრულყოფას საჭიროებს. აუცილებელია ვეტერინარული სამსახურის გარდაქმნა. იგი უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ სტრუქტურად (მაგალითად, ვეტერინარიის დეპარტამენტი, სააგენტო სამსახური და სხვ.).

34. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება

მევენახეობა

მევენახეობა მომავალშიც დარჩება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგად. მევენახეობის განვითარების დონის განსაზღვრისას ამოსავალი უნდა იყოს მისი ბუნებრივი და საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი.

2020 წლისათვის რეალურია ვენახის ფართობი 65-70 ათას ჰექტრამდე გადიდდეს და მხოლოდ უნიკალური ჯიშები გაშენდეს. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 70 ცენტნერამდე უნდა ვივარაუდოთ. ასეთ შემთხვევაში ყურძნის წარმოება მიაღწევს 455-490 ათას ტონას, რომლისგანაც მიღებული იქნება დაახლოებით 23-25 მლნ. დეკალიტრი ღვინო. დაახლოებით 6-7 მლნ. დეკალიტრი ღვინო ქვეყნის შიდა ბაზაარს მიეწოდება, დანარჩენი საგარეო ბაზარზე უნდა გავიდეს. აუთვისებელია სუფრის ჯიშის ყურძნის წარმოების გადიდების შესაძლებლობები; ამჟამად შიდა ბაზარზე ძირითადად იმპორტული სუფრის ყურძენი იყიდება. სუფრის ყურძენზე შიდა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია 2,5-3 ათას ჰექტარზე ვენახის გაშენება.

მეხილეობა

მეხილეობა მომავალშიც დარჩება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად, საქართველო კი კლასიკური მეხილეობის ქვეყნად. როგორც აღინიშნა. უკანასკნელ წლებში ხეხილის ბაღები და ხილის მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა, რამაც ხილის იმპორტით შემოტანის მოცულობა მნიშვნელოვნად გაზარდა. 2010-2012 წლებში ქვეყანაში შემოტანილია 112,7 ათასი ტონა ხილი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 118 მლნ. აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ შემოტანილი ხილი ძირითადად დაბალი კვებითი ღირებულებისაა. ხილის გადამამუშავების სიმძლავრეები საკმარისი არ არის, ყურადღება არ ექცევა ბაღის ტიპის შერჩევას, ნარგაობების ფორმირებას, ჯიშების შერჩევას, მაღალპროდუქტიული ნერგის წარმოებას.

ხილის წარმოება კონცენტრირებულია წვრილ ოჯახურ მეურნეობებში (2012 წელს შეადგენდა 99,7%-ს). ეს თავისებურება ყოველმხრივ გასათვალისწინებელია. პირველ რიგში საჭიროა მეხილეობის საწარმოო მომსახურების მაღალი ორგანიზაცია. იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მობილური ტექნიკის), მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების, დამზადება-გადამუშავების, ტრანსპორტირების, შენახვისა და საერთოდ რეალიზაციის საკითხების და სხვა შრომატევადი სამუშაოების კომპლექსურად და თანმიმდევრულად გადაწყვეტა.

უნდა შეიქმნას მომსახურების ისეთი რგოლი, რომელიც ხილის მწარმოებელთან კონტრაქტის საფუძველზე შეასრულებს შესაბამის აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს. ასეთი რგოლი (სტრუქტურა) შეიძლება იყოს სახელმწიფო, შერეული (სახელმწიფო-კერძო) ან კერძო. მომსახურების ტარიფები უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მოწეული მოსავლის გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის საკითხები. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფორმის გამოყენებით. კერძოდ, კოოპერატივების შექმნით, არსებული საწარმოების მოდერნიზაციით ან ახალი საწარმოების (შესანახი ბაზების) აშენებით და სხვ.

2020 წლამდე პერიოდში მეხილეობის განვითარება უნდა დაეყრდნოს ექსტენსიური და ინტენსიური განვითარების პრინციპს. ხილზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება რეალური ამოცანაა. ამისათვის საჭიროა 500 ათას ტონაზე მეტი ხილი (2012 წელს წარმოებული იყო 158 ათასი ტონა, ანუ საჭიროა 3ჯერ მეტი). ხილის წარმოების გადიდება შესაბამისად ფართობების გაზრდას მოითხოვს. ამჟამად ქვეყანაში დაფიქსირებული 37,5 ათასი ჰექტარი ხეხილის ნარგავები საკმარისი არ იქნება დასმული ამოცანის შესრულებისათვის. რეალურია (სპეციალისტების გაანგარიშებით) 50-52 ათასი ჰა. ცხრილი გვიჩვენებს ხეხილის ფართობისა და შესაბამისად მოსავლის ზრდის მონაცემებს.

ხეხილის ფართობისა და ხილის მოსავლის მაჩვენებლები¹

ცხრილი 36

	2012	2017 ²	2020 ²	2025 ²
ფართობი (ათასი ჰა)	37,5	40	45	52
საჰექტარო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	4,2	8	10	10
მოსავალი (ათასი ტონა)	157,9	320	450	520
წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ)	35	71	98	104

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ

მევენახეობისა და მეხილეობის ინტენსიური განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სარგავი მასალის (ნერვის) წარმოების მეცნიერულ-ტექნოლოგიურ ორგანიზაციაზე. სამწუხაროდ, ვენახი და ხეხილი მასობრივად შენდება დაბალი ხარისხის სარგავი მასალით. უნდა მომზადდეს სარგავი მასალის სამრეწველო პრინციპებზე წარმოების მატერიალური და ორგანიზაციული საფუძველი. მოცემულ სიტუაციაში ამოსავალ საწყისად უნდა მივიჩნიოთ ჯიდაურის ვაზისა და ხეხილის საბაზისო სანერგე-სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი, რომელიც ტექნიკური ბაზით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმით პასუხობს სერთიფიცირებული საბაზისო ნერვის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს. უნდა შემუშავდეს აღნიშნული ცენტრის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. ცენტრს რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობების გათვალისწინებით შესაბამისი პროფილის სანერგე მეურნეობები უნდა ჰქონდეს. მათთან კოოპერაციაში იქნებიან ოჯახური მეურნეობები, რომლებიც ნერგების გამოყვანას ეწევიან.

ამრიგად, ქვეყანაში შეიქმნება სტრუქტურა, რომელიც ვაზისა და ხეხილის ნერგების წარმოებაში ერთიან სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოლიტიკას განახორციელებს. ცენტრი მომავალშიც უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

აღნიშნულ ცენტრთან მიზანშეწონილია შეიქმნას “საქბაღვენახის” მობილური საპროექტო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციებით მოხდება ნარგავების ჯიშების და ფორმის (სეზონურობის, საბაზრო კონიუნქტურის, ბუნებრივ-საწარმოო პირობების, მიცემული ფართობის ზომის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით) განსაზღვრა და ტექნოლოგიების დაცვის მონიტორინგი.

მეციტრუსეობა და მეჩაიეობა

მეციტრუსეობის განვითარებას ორი გარემოება განსაზღვრავს: ერთი მხრივ ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი კვებითი ღირებულება და, მეორე მხრივ, საექსპორტო პროდუქციის წარმოების პოტენციალი. უკანასკნელ წლებში, მკვეთრად შემცირდა როგორც ფართობი, ასევე მოსავალიც. აღსანიშნავია, რომ მანდარინის თითქმის 40% არასტანდარტულია. ასევე ჯიშმა “უნშიუმ” ამოწურა თავისი შესაძლებლობები. არსებული პლანტაციების დიდი ნაწილი მეჩხერიანია. ციტროვანთა კულტურების სტანდარტული სარგავი მასალის წარმოება ფაქტობრივად შეწყდა. გართულდა ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავება და რეალიზაცია.

პირველ რიგში აუცილებელია არსებული ნარგავების პასპორტიზაცია როგორც ჯიშობრივი, ასევე ასაკობრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით. ყურადღება უნდა მიექცეს ლიმონის წარმოებას. მანდარინის “უნშიუს” ჯიში უნდა შეიცვალოს იაპონიიდან შემოტანილი მაღალმოსავლიანი სუპერ საადრეო და საადრეო ჯიშებით (ეს ჯიშები გამოცდილია ანასეულში). ანასეულის ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სანერგე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური მეურნეობების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება შესაძლებელია 2020 წლისათვის აყვანილ იქნას 170 ათას ტონამდე.

დაახლოებითი გათვლებით, 2020 წლამდე პერიოდში ქვეყანაში ჩაის პლანტაციების 13 ათასი ჰა საერთო ფართობის შენარჩუნებით (შესაბამისი ღონისძიებების გატარებით) შესაძლებელია 58-65 ათასი ტონა ჩაის ფოთლის წარმოება, რაც შეადგენს დაახლოებით 14-16 ათას ტონა სამრეწველო ჩაის.

თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ჩაის მოხმარების დონეს (დაახლოებით 0,7 კგ) უახლოეს პერიოდში მის თუნდაც 0,30 კგ-ით ზრდას, საბოლოოდ 5 მლნ. მოსახლეობას (ტურისტების ჩათვლით) დასჭირდება დაახლოებით 5000 ტონა. დანარჩენი პროდუქცია გათვალისწინებულ უნდა იქნას საგარეო ბაზარზე მისაწოდებლად (მხედველობაში გვაქვს ტრადიციულ ბაზრებზე გარკვეული რაოდენობის პროდუქციით (დივერსიფიცირებული პროდუქციით, მაგალითად, მწვანე ჩაი, აგურა ჩაი და სხვ.) შესვლა. ჩაის კულტურის წარმოებაზე უარი არ უნდა ვთქვათ. ნიშანდობლივია, რომ ჩაის ნარგავები ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ჩაის არსებული ტექნოლოგია სრულყოფას საჭიროებს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ანასეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული ახალი ტექნოლოგია. მომავალში ჩაის წარმოება უნდა გაფართოვდეს აჭარაში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში.

3.5. ოჯახური მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლება

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ოჯახური მეურნეობა წარმოადგენს განმსაზღვრელ რეოლს. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ოჯახური მეურნეობები შეადგენდნენ მეურნეობათა 99,8%. მათ საკუთრებაში გადაცემული აქვთ 839,7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის სახნავი 472 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 100,2 ათასი ჰა, სათიბ-სადოვრები 267 ათასი ჰა. ისინი აწარმოებენ (2012 წ.) ხორბლის 95%, სიმინდის 98%, კარტოფილის 99%, ხილის – 99,7%, ყურძნის 91,5%, ციტრუსების 99,9%, ჩაის ფოთლის 57,7%, ბოსტნეულის 98%, რძის 99,5%, კვერცხის 39%, ხორცის 85,1%-ს.

აღსანიშნავია, რომ მიწების პრივატიზაციამ ნაკვეთების დაქუცმაცება (დანაწევრება) გამოიწვია. როგორც 12 ცხრილიდან ჩანს, მეურნეობათა 74,5% – ერთ ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწა აქვს, 5-დან 10 ჰექტარამდე – 0,9%-ს. ნაკვეთების მეურნეობათა საშუალო ფართობი შეადგენს 1,22 ჰა. ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა 0,52 ჰა. მეურნეობათა 48,85%-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი ფართობი აქვს, 17,35% – 4-დან 9 ნაკვეთამდე. მიწის ფრაგმენტაციის მაჩვენებლები

განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის მიწების ეფექტიანად გამოყენებას. შეზღუდულია სამეურნეო მანევრირების შესაძლებლობები (მასშტაბის ეფექტი), წარმოების პროცესი ძირითადად ხელით შრომას ეყრდნობა, ფინანსური შესაძლებლობები მწირია, დიდია ვერტიკალური ზონალობის გავლენა. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი მცირდება. საოჯახო მეურნეობათა 83,55% – თავის საქმიანობის ძირითად მიზნად საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მიიჩნევს. მხოლოდ 17,55% არის ორიენტირებული ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდებაზე.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ოჯახური მეურნეობების სუსტი მხარეა მათი იზოლირებულობა. რაც ბუნებრივია განაპირობებს მათი ეფექტიანობის დაბალ დონეს. (2012 წელს 1990 წლის მიმართ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ შეადგინა მხოლოდ 37,35%).

მიუხედავად ამისა არაობიექტურია იმის მტკიცება, რომ მცირე მეურნეობებს პერსპექტივა არა აქვთ, რომ აუცილებელია მიწების კონსოლიდაციის ფორსირებულად განხორციელება და მსხვილი სტრუქტურების ფორმირება. მიწათსარგებლობაში შექმნილი ვითარება (მიწის მცირე ნაკვეთებად დაქუცმაცება, ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის თავისებურებები და სხვ.) ადასტურებს, რომ აუცილებელია მცირე და მსხვილი მეურნეობების ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმების (ორივე მათგანის შედარებითი უპირატესობების), მიზნობრივი გამოყენება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქართველოში ოჯახური მეურნეობა ტრადიციულად ეკონომიკურ ურთიერთობებში არა მხოლოდ ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია, არამედ ეროვნული სოციალურ-ისტორიული ფენომენიც. იგი ყოველთვის სიცოცხლის უნარიანი იყო. ეს დადასტურდა ბოლო წლების კრიზისულ სიტუაციებშიც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში აუცილებელია წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმების შექმნა, რომელიც შეესაბამება არსებულ საწარმოო ძალებს, მანქანებს, ნიადაგის, მცენარის, ცხოველის ბიოლოგიურ თავისებურებებს, მწარმოებლისა და მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებს. ოჯახური

მეურნეობა ამ ამოცანებს მარტო ვერ გადაწყვეტს. ამისათვის საჭიროა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესში ჩართულ სუბიექტებთან (მათი ინტერესების შესაბამისად) კოოპერირება, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. თანამედროვე პირობებში წვრილი და მსხვილი მეურნეობების ერთიან სისტემაში ფუნქციონირებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ობიექტური პირობები, მაგრამ ეს რთული პროცესი სტიქიურად არ ყალიბდება. საჭიროა სახელმწიფოს მათგანიზებული როლის სწორად განსაზღვრა და რეგულირების ქმედითი მექანიზმის გამოყენება.

ოჯახური მეურნეობა შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განვითარდეს.

- 1.** ოჯახური მეურნეობების კოოპერატივებში გაერთიანება. ეს სწორი გზაა. კანონი “კოოპერაციის შესახებ” მიღებულია. ოჯახურ მეურნეობებსა და კოოპერატივებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულია, საქართველოში ამ ფორმის გამოყენების რეალური შესაძლებლობა არსებობს. გასათვალისწინებელია საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გავლენით კოოპერაციის განსხვავებული ფორმების გამოყენების მიზანშეწონილობაც. ამ ეტაპზე უპირატესობა უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების, რეალიზაციის, ტექნიკური მომსახურების კოოპერატივების შექმნას და მათი ეფექტიანად ფუნქციონირების პირობების მომზადებას.
- 2.** ოჯახურ მეურნეობებსა და მსხვილ სტრუქტურებს შორის (გადამამუშავებელი, პროდუქციის შენახვის, მომსახურების საწარმოები, ვაჭრობის ორგანიზაციები და სხვ.). სახელშეკრულებო საწყისებზე ჩამოყალიბდეს ეკონომიკური ურთიერთობები (თანამშრომლობა). ეს მოამზადებს ვერტიკალური ინტეგრაციის ადეკვატური ფორმების გამოყენების საფუძვლებს.
- 3.** შესაბამისი პირობების მომზადების ფონზე ოჯახური მეურნეობები შეიძლება ვერტიკალური ინტეგრაციის ისეთ სისტემებში ჩაერთონ (ჰოლდინგები, სამრეწველო-საფინანსო

ჯგუფები და სხვ.), რომლებიც არეგულირებენ წარმოების, გადამამუშავების, ტრანსპორტირების, რეალიზაციის მთლიანობით პროცესს.

3.6. გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, განვითარების მასშტაბი, ტემპები განსაზღვრავენ ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალანსებულ ფუნქციონირებას.

დღევანდელი პირობების გათვალისწინებით არსებული კერძო საწარმოების რეკონსტრუქციის სამუშაოები, ასევე ახალი საწარმოების მშენებლობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს აქტიური პარტნიორობით. მნიშვნელოვანი რესურსია უნარჩუნო ტექნოლოგიების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, ინოვაციური პროექტების განხორციელება და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამამუშავებელი საწარმოების ინტეგრირების ეფექტიან ფორმად შეიძლება გამოვიყენოთ ტექნოპარკების სისტემა. მისი უპირატესობა ისაა, რომ უზრუნველყოფს წარმოების, განათლებისა და მეცნიერების მიზნობრივ ინტეგრაციას, რომელიც მრავალმხრივი ეფექტიანობით გამოირჩევა.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დღეისათვის დამუშავებულია რამდენიმე სანიმუშო პროექტი. მაგალითად, მეცხოველეობის მიმართულების (მეღორეობის) აგროტექნოპარკის შექმნის შესახებ. ამ პროექტის მიზანია მიწის მცირე მესაკუთრეთა ეფექტიანად ჩართვა კონკრეტულ საწარმოო საქმიანობაში. ურთიერთობები საოჯახო მეურნეობებსა და აგროტექნოპარკებთან ყალიბდება ხელშეკრულებით. იგი ითვალისწინებს გოჭების მიწოდებას, საკვების მიწოდებას და ცხოველების შესყიდვას. პროექტის პრინციპია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს შეექმნათ ხელსაყრელი პირობები. მათ ადგილზე (საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ სჭირდებათ) ექმნებათ პირობები

ღორების გამოზრდისათვის. ანგარიშსწორება ხდება პროდუქციის ჩაბარებისთანავე.

ამავე ინსტიტუტში დამუშავდა პროექტი "ეკოლოგიურად სუფთა ეთეროვანი ზეთების და ნატურალური საკვები დანამატების წარმოების ორგანიზაცია საქართველოში". პროგრამა ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა ეთეროვანი ზეთების წარმოებას და რეალიზაციას, ამასთან ეთეროვანი ზეთების გამოყენებით კონკურენტუნარიანი სამამულე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოებას და ექსპორტს. ტექნოპარკი საოჯახო (ფერმერულ) მეურნეობებს აწოდებს ეკოლოგიურად სუფთა სარგავ მასალას და ორგანულ სასუქს. უზრუნველყოფს მათ კონსულტირებას, წარმოებული ნედლეულის შეუფერხებელ შესყიდვას წინასწარ შეთანხმებულ ფასებში. პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ერთწლიანი მცენარეების გაშენებას და მათგან მიღებული ნედლეულის გადამუშავებას, ასევე ქვეყანაში არსებული დაფნის, ევკალიპტის, ციტროვანთა არასტანდარტული ნაყოფების ათვისებას. ამასთან, მრავალწლოვანი კულტურების ლავანდისა და ვარდის გაშენებას. პროექტის ძირითადი პრინციპია – მეურნეს ადგილზე (საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად) ხელი შეუწყოს ააწარმოოს მისთვის ხელსაყრელი პროდუქცია.

პროექტი "სახამებელპროდუქტების წარმოების ორგანიზაცია საქართველოში კარტოფილის არასტანდარტული ნედლეულის გამოყენებით", ითვალისწინებს სახამებლის წარმოებას უშუალოდ კარტოფილის მოყვანის ადგილებში, რაც გამორიცხავს გადამუშავების დანაკარგებს (20-30%-ით). ამასთან, იძლევა საშუალებას ეფექტიანად იქნას გამოყენებული თანამდები პროდუქტები პირუტყვის გამოსაკვებად. ამ ტექნოლოგიის დანერგვისათვის საჭიროა მცირე წარმადობის სახამებლის დანადგარები, რომელთა გამოყენება შეიძლება უშუალოდ მინდორში, საოჯახო (ფერმერულ) მეურნეობაში, სათაო საწარმოდ, სადაც მოხდება საბოლოო პროდუქტების (სახამებელი, გლუკოზა, დექტრინი, სპირტი) მიღება. შეიძლება გამოყენებულ იქნას კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხანა (თეთრიწყარო).

იმისათვის, რომ ტექნოპარკები, როგორც წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმა, წარმატებულად იქნას გამოყენებული, მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს კანონი "ტექნოპარკების შესახებ".

რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა მიხედვით კონკრეტულ პირობებში აგროტექნოპარკების ჩამოყალიბება უნდა გადაწყდეს მიზნობრივი პროგრამებით. ვერტიკალური ინტეგრაცია, წარმოების დივერსიფიკაცია, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია – კვების მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლების აპრობირებული ფორმები და ფაქტორებია.

3.7. საინჟინრო-ტექნიკური მომსახურება

უკანასკნელ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი საკმარისი არ არის. მიზანშეწონილია ამჟამად ჩამოყალიბებული სერვის ცენტრების ბაზაზე შეიქმნას ერთიანი საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სისტემა (პირობითად "სოფტექსერვისი"), რომელსაც რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით ექნება შესაბამისი სამსახური (ქსელი). აღნიშნული სისტემა უნდა შეიქმნას როგორც სახელმწიფო (პირველ ეტაპზე მაინც, მისი შემდგომი პრივატიზაციის პერსპექტივით) სახსრებით ან შერეული საწარმოს ფორმით, რომელიც ხელშეკრულებების საფუძველზე შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების (როგორც ოჯახური მეურნეობების, ისე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების) შეკვეთებს. სამუშაოთა სახეების დაკონკრეტება მოხდება მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე.

3.8. სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია

საქართველოში (სტატისტიკური მონაცემებით) ირიცხება 220 სარწყავი სისტემა. აქედან 135 (62%) – ფართობით 0,5 ათას ჰა-მდე და 10 (5%) – 10 ათას ჰა-ზე მეტი ფართობით. ექსპერტთა აზრით, არსებული სარწყავი სისტემების

სრული რეაბილიტაციის შემთხვევაში შესაძლებელია 300 ათასი ჰექტრის მორწყვა.

უნდა შედგეს სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის განვითარების გრძელვადიანი (2020 წლამდე ან შემდგომი პერიოდი) კომპლექსური პროგრამა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას.

3.8. სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების კომპლექსური პროგრამა

ზემოთ შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელება, თუ დაცული იქნა კომპლექსურობისა და ეტაპობრივად განხორციელების პრინციპი, ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საბაზრო პრინციპებთან ადეკვატური სისტემის ჩამოყალიბებას. ამასთან, მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოების მოცულობას, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის დონეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოება მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას, აუცილებელია შედგეს 2020 წლამდე ან შემდგომი პერიოდისთვის ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების კომპლექსური პროგრამა. ამოსავალი საწყისი უნდა იყოს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა. ამისათვის საჭიროა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოხმარების ზღვრული სიდიდეების არსებულ რესურსებთან შეჯერება და აუცილებლობისას ახალი რესურსების მოძიება (გამოყენება). ჩვენს შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების ზრდისა და იმპორტის რაციონალურ შეხამებაზე ორიენტაცია. კონკრეტული ვითარების შესაბამისად, გასათვალისწინებელია სურსათის ცალკეული პროდუქტის წარმოების მიმართ ეკონომიკური სტიმულირების ადეკვატური ფორმის გამოყენება.

აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს და განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებანი, კერძოდ, სტრატეგიული პროდუქტების ნუსხის

მიხედვით (პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, მცენარეული ზეთი, შაქარი, თევზი და თევზპროდუქტები) განისაზღვროს ეტაპების მიხედვით თითოეულ პროდუქტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე და არსებული რესურსების ოპტიმალური კომბინაციით მიღწეულ იქნას მაქსიმალური შედეგების მიღება.

ჩვენი გათვლებით (ცხრილი 37), რომლებიც ეფუძნება ზემოთ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს, 2020 წლისათვის რეალურია სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების გადაწყვეტა. ცხრილიდან ჩანს, რომ 2020 წლისათვის შესაძლებელია მოსახლეობის ერთ სულზე სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლების ზრდა. მომავალშიც რისკებთან იქნება დაკავშირებული ხორცი, მცენარეული ზეთით და შაქრით მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ზრდის მაჩვენებლები

დასახელება	2012 ¹			2017 ² პროექტი			2020 ² პროექტი		
	წარმოება ერთ სულზე (კგ)	სულ წარმო- ებულია (ათასი ტონა0	თვითუზ- რუნველ- ყოფის დონე %	წარმოება ერთ სულზე (კგ)	სულ წარმო- ებულია (ათასი ტონა0	თვითუზ- რუნველ- ყოფის დონე %	წარმოება ერთ სულზე (კგ)	სულ წარმო- ებულია (ათასი ტონა0	თვითუზ- რუნველ- ყოფის დონე %
მარცვალა და მარცვლოვანი პარკოსნები	82,0	370,3	-	222,1	1000		323	1485	
ხორბალი	18	80,7	14	44	100	42,6	84	385	64,6
სიმინდი	59	26,7	-	140	630		1956	900	
ქერი და შვრია	5	22,3	-	31	40		43,4	200	
ბოსტნეული	44	199	32,6	74,6	336	59,2	104,3	480	77,2
კარტოფილი	56	252	90,3	83,3	375	61,2	108,6	500	175
ხილი	35	157,9	45,6	71,1	320	93	98	450	128
ხორცი	9	42,6	12,3	15,5	70	21,1	23,0	106	31,5
რძე	131	590	37,4	200	900	57,1	26,1	1200	74,5
კვერცხი (ცალი)	106	474	58	133,0	600	72,8	196	900	107,2
ყურძენი	32	144		66,6	300		106,5	490	
ციტრუსი	17,1	77		29,0	130		37	170	
ჩაი	0,57	2,6		12,2	55		14	65	

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა. 2012. გვ.16-19.
2. გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების შემოთავაზებულ პროგრამაში უფრო მოხერხდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, მსოფლიო ბაზრის თავისებურებებისა და ტენდენციების შეფასება, ევრაზიის სივრცეში საქართველოს ეკონომიკის მზარდი როლის გაცნობიერება და მიმდინარე პროცესების მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება.